645
1965/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1965 წ.



# 1965 წლის 21 მარტი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში. უკვე დასახელებული არიან დეპუტატობის კანდიდატები — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მათ შორის ბევრი ქალია. სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ მათგანს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსან სტუდენტს ლ ა მ ა რ ა ჯ ი ბ ლ ა ძ ე ს. იგი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.



უნგრელი მხატვრის ადამ ვიურცის ნახატი

9753

# ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ოცი წლისთავი

მიმდინარე წლის დეკემბერში სრულდება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დაარსების 20 წლისთავი. განვლილი ოცი წლის მანძილზე ფედერაციამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს ქალთა შესაკავშირებლად, მათს დასარაზმავად მშვიდობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, ბავშვთა კეთილდღეობისათვის საბრძოლველად. ამჟამად ფედერაციის დროშის ქვეშ სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით ქალია გაერთიანებული.

ფედერაციის იუბილისათვის მზადება უკვე გაჩაღდა მთელს მსოფლიოში. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის ემზადებიან საბჭოთა ქალებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს თარიღი ფედერაციაში ჩვენი ქვეყნის ქალების შესვლის თარიღიცაა. ისინი იყვნენ ფედერაციის დაარსების მონაწილენი — დელეგატები ქალთა პირველი მსოფლიო კონგრესისა, რომელიც 1945 წლის დეკემბერში გაიმართა პარიზში.

იუბილის აღსანიშნავად საბჭოთა ქალების კომიტეტი ითვალისწინებს კინოფილმის შექმნას. ამ ფილმში უნდა აისახოს ფედერაციის განვლილი მოღვაწეობა; გამოიცემა საიუბილეო მარკები და ღია ბარათები, ბროშურები და წიგნები ფედერაციის საქმიანობაზე და მის გამოჩენილ მოღვაწეებზე.

წელს ორმოცდამეთხუთმეტედ აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი. საბჭოთა ქალების კომიტეტმა ამ დღისადმი მიძღვნილი კრებები, რომლებიც მთელს ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა, გამოიყენა იმისათვის, რომ ჩვენი ქალები უფრო სრულყოფილად გასცნობოდნენ ფედერაციის მოღვაწეობას, სხვადასხვა ქვეყნების ქალთა ბრძოლას თანასწორუფლებიანობისათვის, ბავშვთა კეთილდღეობისათვის, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის.

იუბილისათვის მზადების დღეებში საბჭოთა ქალების კომიტეტი ფედერაციის თხოვნით ლექციების წასაკითხად სპეციალისტებს გაგზავნის მალის რესპუბლიკაში, სადაც მიმდინარე წლის აპრილში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენციასთან ერთად და მალის რესპუბლიკის მთავრობის ხელისშეწყობით აწყობს სემინარებს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. აფრიკის განთავისუფლებული ქვეყნების ქალებსა და ქალიშვილებს დაენიშნებათ სტიპენდიები, რაც მათ საშუალებას მისცემს განათლება მიიღონ საბჭოთა კავშირის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

საბჭოთა ქალები მიმდინარე წელს აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო და რეგიონალურ შეხვედრებში, საერთაშორისო თანამშრომლობის წელთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის მოწვევას ითვალისწინებს ფედერაცია.

საბჭოთა ქალები დაუღალავ ბრძოლას ეწევიან იმპერიალისტური აგრესიის შესაწყვეტად სამხრეთ ვიეტნამში, კონგოში და სხვა ქვეყნებში, რომლებიც იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და სუვერენიტეტს. ჩვენი ქვეყნის ქალები კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მშვიდობის დასაცავად, განიარაღებისათვის, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, ბავშვთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

# ტერეშკოვას სახელობისა...



ბრიგადა წუთშესვენებაზე

ფოტო ლ. ბაკრაძისა



ეს იყო მაშინ, როცა კოსმოსში გაფრინდა ვალენტინა: თბილისის უმსხვილესი საწარმოს, მაუდ-კამვოლის კომბინატის გადამხვევ ბრიგადაში საორფებელი განყოფილებიდან გადავიდა ვენერა გელაშვილი. ბრიგადა ჩამორჩენილი იყო, გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდა, ზოგიერთები ზარმაცობდნენ, დისციპლინას არღვევდნენ. ჩამორჩენილმა ბრიგადამ გადაწყვიტა უოფილი ფეიქრის, ვალენტინა ტერეშკოვას საგმირო საქმისათვის შრომითი წარმატებებით ეპასუხა. დაიწყო ბრძოლა კოსმონავტი ქალის სახელისათვის. ერთი წლის შემდეგ კომბინატის საერთო კრებამ ვენერა გელაშვილის ბრიგადას ერთხმად მიანიჭა ვალენტინა ტერეშკოვას სახელი. მოპოვებულმა წარმატებებმა ყველას ფრთები შეასხა. რამდენიმე დღეში თავიანთი სიხარული გმირ კოსმონავტსაც შეატყობინეს, რომელმაც არ დააყოვნა პასუხი და თავისი სურათი გამოგზავნა ავტოგრაფით.

მერე კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად დაიწყეს ბრძოლა და ახალი ვალდებულებები აიღეს. ვალდებულებების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა ნახვეწების შემცირების ხარჯზე ყოველთვიურად ათი კილოგრამი ნედლეულის დაზოგვას. ეს მეთოდი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საქსოვი საამქროს ქვეოსტატმა ლევან ჯანანაშვილმა დანერგა თავის ბრიგადაში და წლის განმავლობაში რამდენიმე ათასი მეტრი ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს.

გავიდა რამდენიმე თვე და ინსტრუქტორმა ევგენია ჯავახი.



ვენერა გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუნუ დავითაშვილი





ნადია ხარიტონაშვილი

შვილმა გადამხვევი ბრიგადის წევრებს შორისაც დაიწყო ამ ახალი მეთოდის გავრცელება, ყოველთვიურად 12-15 კილოგრამი ნედლეული იზოგებოდა ნახვეწების ხარჯზე. გამომუშავების ნორმამ თვეში 106 პროცენტის ნაცვლად 115-120 პროცენტს მიაღწია. შრომის ნაყოფიერება ორიდან ექვს პროცენტამდე გაიზარდა.

ბრიგადის წარმატების საიდუმლოება ძნელი ამოსახსნელი არ არის. იგი მდგომარეობს ურთიერთდახმარების პრინციპში. ახლა ცნებები „მოწინავე", „ჩამორჩენილი" გაქრა და აღარ ახსოვთ. ერთი შეფერხდება, მეორე წამოსწევს, მეორეს გაუჭირდება, მესამე ეხმარება. და ასე, შეწყობილად, ერთმანეთისაგან განუსხვავებლად შრომობენ ფეიქრები და ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი. ლარისა თუშურაშვილმა, ჟენია ჯოჯიშვილმა, ლუიზა მთიულიშვილმა, ნათელა ბეჟუაშვილმა, ცაცა კორძაძემ, ცისანა კირთაძემ და სხვებმა თავიანთი გულმოდგინე შრომით მთელი კოლექტივის პატივისცემა მოიპოვეს.

— როცა ჩვენს საამქროში წარმოების მოწინავეს ეკითხებიან, თუ როგორ შეძლო მან მაღალი შრომითი მაჩვენებლების მიღწევა, მოწინავეს უჭირს პასუხის გაცემა. მართლაც და, რა უნდა უპასუხოს! საამქროში პირობები ერთნაირია, თითქმის ყველა ერთნაირი მონდომებით მუშაობს, მაგრამ, როცა მაჩვენებლებს გადახედავ, ზოგს სანაქებო შედეგები აქვს, ზოგი კი ჩამორჩება. ჩამორჩენილებზე ამბობენ — გამოცდილება არა აქვთო. ვინ უნდა გადასცეს მათ გამოცდილება? რა თქმა უნდა, მოწინავემ, მისივე ამხანაგმა, — ხშირად უთქვამს ვენერა გელაშვილს ბრიგადაში.

ბრიგადირის ნათქვამი არ დარჩენილა უყურადღებოდ. ფეიქრებმა ის საქმეში გამოიყენეს და კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის მებრძოლთა რიგებს გაუტოლდნენ.

ჯულიეტა მინდიაშვილი

მაყვალა არდაზიშვილი და ეთერ ღარიბაშვილი



**გოდერძი ჭეიშვილი**

# წყლის ზღაპარი

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

ამ ასო „ბანმა“ თავდაპირველად ძალზე შემაწუხა. მაინცდამაინც მაშინ გამოეჩხირებოდა, როცა ჩვენი სასცენო მეტყველების პედაგოგს ველაპარაკებოდი ხოლმე. ქალბატონი მადლენა წამწამებს დახრიდა, შავგრძელ წამწამებს და ყველაფერი გასაგები იყო. ყოველთვის, მასთან საუბრის დროს, შინაგან დაძაბულობას ვგრძნობდი, მთელი ყურადღების კონცენტრაცია მჭირდებოდა, რომ არ შემშლოდა. საქმე არც მთლად ასე იყო. ენა კი არ მებმოდა, შეიძლება სხვას ყურადღებაც არ მიექცია, მაგრამ ქალბატონ მადლენას ვერაფერს გამოაპარებდი — ძველი პედაგოგია, გამოცდილი, მცოდნე და ზუსტი. გიზო ჯოხაძეს, ჩემს თანაკურსელ ამხანაგს, სწავლის დაწყების პირველივე დღეს შეამჩნია, რომ ქვედა ბაგე ოდნავ გვერდზე გაურბოდა, სულ ოდნავ.

— რატომ?.. არა, არა მგონია... — აილანძა გიზო, მაგრამ მასწავლებელი მართალი იყო. მერე გიზომ კარგახანს ივარჯიშა და ბაგეც გაუსწორდა.

თეატრალურ ინსტიტუტს რომ ამთავრებ, ბგერები და საერთო მეტყველება თუ არასწორი გაქვს, სხვა თუ არაფერი, სირცხვილია. მე, მართალია, მსახიობობას არ ვაპირებ, სარეჟისორო ფაკულტეტზე ვსწავლობ და მით უარესი — რეჟისორმა სხვას უნდა მიუთითოს, გაუსწოროს და, თუ თვითონ არა გაქვს მეტყველების ორგანო წესრიგში...

მაგრამ ეს ხომ ჩემი შარშანდელი, პირველი კურსის ,,ცოდვა‘‘ იყო.

წელს კი ყველაფერი რიგზეა!

დღეს კვირაა. ცა უღრუბლოა, ლურჯი და ქალაქი მზის ჭავლებითაა მოქსოვილი. დილიდანვე ცხელა. დედა და მამა ადრიანად წავიდნენ ბაზარში. შინ მე და ჩემი უფროსი ძმა ვართ. ჯანო ინჟინერია, საბურთალოს მასივზე ერთერთი რვასართულიანი სახლის მშენებლობას ხელმძღვანელობს. წუხელ ამბობდა: მშენებლობაზე მასალები უნდა მოიტანონ და იქ უნდა ვიყოო. კვირა დღეს რა დროს მასალებია-მეთქი! სექტემბერში სახლი მზად უნდა იყოს, აწი კვირაობითაც ვიმუშავებთო, — მომიგო მან.

იგი ახლა მეორე ოთახში თმას ივარცხნის. საათიანი თმის ვარცხნა იცის, კეფაზე შეუთხელდა და იფარავს.

მე სარკის წინ ვდგევარ და რენიეს მეთოდით ვვარჯიშობ. პატარა სარკეში ვარჯიში არ მიყვარს.

მოკუმულ ბაგეს ხან მარჯვნივ ვამოძრავებ, ხან მარცხნივ. მერე ორივე მხარეს წრეს ვაკეთებ და ხმოვან სავარჯიშოებზე გადავდივარ:

— ბდიი-პტკი-პტკი, ბდგე-პტკე-პტკე, ბდგა-პტკა-პტკა, ბდგო-პტკო-პტკო, ბდგუ-პტკუ-პტკუ.

— აუჰ, რვა საათი ხდება, წავედი! — წამოიძახა ჯანომ და კარი გაიჯახუნა.

მე ერთხანს კიდევ ვვარჯიშობ, მერე პირის დასაბანად გავდივარ.

ჩვენი სახლი სადერეფნო სისტემითაა აშენებული. სამზარეულო, აბაზანა და საპირფარეშო საერთო გვაქვს. ამ ბინაში ორი წლის წინათ გადმოვედით.

პირი რომ დავიბანე და უკან გამოვბრუნდი, ოთახიდან მაიას ხმა მომესმა. შევჩერდი...

* * *

მაიას დერეფანში გამომავალი ფანჯარა გაუღია და ხმამაღლა კითხულობს. ამ ბოლო დღეებში ხმამაღლა მეცადინეობა დაიწყო. დილის ექვს საათზე იწყებს და ათის ნახევრამდე ვერ გამოელაპარაკები.

მაიამ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე აპირებს გამოცდების ჩაბარებას.

შარშანდლამდე არც კი ვიცნობდი.

იმ დღეს შინ მარტო ვიყავი. აღარ მახსოვს, წიგნს ვკითხულობდი, თუ სხვა რაღაცას ვაკეთებდი. კარზე ზედიზედ დარეკეს.

კართან მაია იდგა, ჩემი ნაცნობი და თანაც უცნობი მეზობელი. ყოველდღე ვხედავდი, მაგრამ მეგონა, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა და რატომღაც არც ვესალმებოდი.

შეშფოთებული, გაფართოებული თვალები ჰქონდა მაშინ. გამხდარი იყო, გაწრიპული, მაღალი. ვიწრო შარვლით ისე სასაცილოდ გამოიყურებოდა, კინაღამ გადავიხარხარე... მაგრამ თვალები? სახე? სიცხიანივით გავარვარებული სახე!

— დედათქვენი შინ არის? — მკითხა სუნთქვააჩქარებულმა.

— არ გახლავთ. რაშია საქმე? მობრძანდით.

— ვაიმე, იცით რა...

— რა მოხდა!

— მესამე სართულზე, ეტყობა, მეზობელს წყლის ონკანი დარჩა ღია. ის ქალი წეღან დავინახე, ქუჩაში გავიდა, რაღა ვქნათ? არ გესმით წყლის ჩხრიალი?

მესამე სართულზე ფოტოგრაფი ცხოვრობდა. ფოტოლაბორატორიაში ონკანი ჰქონდა. წყალი ადრე დილით შეწყდა და ახლახან მოსულიყო. ფოტოგრაფს ონკანი მოშვებული დარჩენოდა.

— ჩვენს ოთახში მოწვეთავს კიდეც!

— მართლა? — უბედურებას გადარჩენილივით გულზე მომეშვა, — წავიდეთ, ონკანი დავკეტოთ!

— როგორ, ფოტოგრაფის ცოლი რომ წავიდა?

— მოიტათ თქვენი ბინის გასაღები, მე ჩემსას წამოვიღებ, იქნებ მოერგოს!..

ავცვივდით მესამე სართულზე. კარის სახელურს ვეცი, გასაღების მორგება აღარ დამჭირდა, კარი ღია იყო. ფოტოგრაფის ცოლი პურის საყიდლად გასულიყო და დაუკეტავი დაეტოვებინა...

აქედან დაიწყო ჩემი და მაიას ნაცნობობა. მალე დავმეგობრდით კიდეც. როგორც ვთქვი, მაშინ იგი გამხდარი, სუსტი გოგონა იყო. მერე კი, ჩემთან ერთად ცურვაზე დაიწყო სიარული და უცებ შეიცვალა — დაქალდა, დასრულდა, სხეული მოქნილი, ნაკვთები ნახატივით სახიერი გაუხდა, თვალები სილაღითა და ხალისით აევსო. ჰოდა, ახლა, როცა შარვლით ვხედავ ხოლმე, აღარ მეცინება...

მაიას ძალიან უხარია, რომ მე რეჟისორი გამოვალ და დავდგამ სიცოცხლითა და ნამდვილი ადამიანური ოპტიმიზმით სავსე სპექტაკლებს. ხშირად, როცა ჩვენს ინსტიტუტში სადიპლომო ან საკურსო სპექტაკლია დანიშნული, მოსაწვევი ბარათი რომ არ მივუტანო, ეწყინება, ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს რაღაც შეურაცხყოფა მიმეყენებინოს.

მაიას თავისებური აზრი და დასკვნები გამოაქვს ხოლმე ამა თუ იმ დადგმისა და შემსრულებლის შესახებ: ეს კარგად თამაშობს, იმისგან კი, მე მგონი, არაფერი გამოვა, სპექტაკლი კარგი იყო, გაფორმება მოიკოჭლებს, პიესა მშვენიერია და ასე შემდეგ.

ბავშვების ხმამაღლა დავამ გამომარკვია. ეზოში ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. ერთ მხარეს ბურთი გაუტანია, მეორე კი უარზეა, არ ითვლებოდაო...

მკლავები იღლიისქვეშ ამოვიდე და აივნის ბოძს მივეყუდე. ბიჭები მალე დაშოშმინდნენ. ეზოში ისევ დაგორავს ბურთი. თამაშს ყურადღებას არ ვაქცევ, — ჩემი მომავალი სპექტაკლი მაგონდება, რომელსაც ერთერთი დიდი ქარხნის კლუბში ვდგამ. გიგუცა ბიძიამ მიმიწვია რეჟისორად. გიგუცა მამაჩემის ბიძაშვილია და კლუბის დირექტორად მუშაობს.

ეს იყო ოთხი თვის წინათ.

— ჩვენთან დრამატული წრის ხელმძღვანელის ადგილი განთავისუფლდა, წამოდი და იმუშავე! — მითხრა ერთ საღამოს გიგუცა ბიძიამ, — რეპეტიციებს საღამოობით ჩაატარებ, სამოცი მანეთი ხელფასი გექნება. იმუშავებ?

*— რა თქმა უნდა! — სიხარულით დავთანხმდი და მეორე დღესვე* შევუდექი საქმეს. გარკვეული მიზეზით კინოსიტას ერთმოქმედებიანი ლეგენდა-ზღაპარი შევარჩიე დასადგმელად. მიზეზი? წრეში ხუთიოდე მოყვარულმა მოიყარა თავი. სამი ვაჟი იყო, ორი — ქალი. ამ პიესაში მოქმედი პირების თითქმის იგივე რაოდენობაა — სამი მამაკაცი, ოღონდ ერთი ქალი. ესეც არ იყოს, პირველადვე ორ და სამმოქმედებიან პიესებთან შეჭიდება არ ღირდა.

მთელი მონდომებით დავიწყე მუშაობა. ვგრძნობდი: ამ პიესით იწყებოდა ჩემთვის ახალი, დიდი ცხოვრება.

მეცადინეობის პირველივე დღეს დავასკვენი: — ნათელა მსახიობად არ გამოდგებოდა. მაინც დავნიშნე ცინის როლის მეორე შემსრულებლად. რეპეტიციებს უფრო ხშირად ის გადიოდა. მინდოდა თვით დარწმუნებულიყო, რომ სხვაგან მოხვდა. ალბათ, დარწმუნდა კიდეც, რადგან მომდევნო რეპეტიციებზე აღარ გამოჩენილა...

ლია კი შესანიშნავი იყო! თეატრშიაც იპოვნიდა თავის ადგილს. საოცრად ელასტიური ტანი ჰქონდა, სახე — ნაზი, თანაც ძლიერი და გამომსახველი, მეტყველება — დახვეწილი და თითქმის უნაკლო, ხმა — რბილი და სასიამოვნო, შინაგანი ცეცხლით სავსე. იმ დღეს, პირველად რომ შევედი რეპეტიციაზე, გამოცდილი მსახიობივით იქცეოდა. ისე ეჭირა თავი, თითქოს იცოდა, რომელი პიესაც უნდა დამედგა და სასურველი როლის იმიტაციას აკეთებდა. დიახ, ლია ნამდვილი ცინი იყო! ვუთხარი კიდეც: შენი თავი ითამაშე-მეთქი.

ასეთი დამთხვევები რეჟისორებისათვის ბედნიერ შემთხვევებს წარმოადგენს. კვირაში ორჯერ ვატარებდი რეპეტიციას. ყველაფერი კარგად მიდიოდა. საქალაქო დათვალიერება, რომელზეც გიგუცა ბიძიას სპექტაკლის წარმოდგენა უნდოდა, ახლოვდებოდა. პიესა თავიდან ბოლომდე გავლილი გვქონდა, ახლა ფინალური სცენის დახვეწაზე ვმუშაობდით, თუმცა, ზოგიერთი სხვა სცენაც დასახვეწი და დასაზუსტებელი იყო. მოკლედ, ჯერ-ჯერობით ჩვენი პიესა პირველ ხელნაწერს ჰგავდა, სრულყოფისათვის მეორედ და მესამედ გადაწერა რომ სჭირდება, მაინც კმაყოფილი ვიყავი. ისეთი განწყობილება მქონდა, როგორც მწერალს — რომანი რომ დაასრულა და ახლა დამშვიდებული მის გადამუშავებას შეუდგება...

ერთ დღეს ლია რეპეტიციაზე არ მოვიდა. გამიკვირდა. ლია ბამბის ფაბრიკაში მუშაობდა, იქნებ ვერ განთავისუფლდა სამუშაოდან მეთქი, მაგრამ არც მომდევნო, ორ რეპეტიციაზე გამოჩენილა. რაშია საქმე?! მეოთხე რეპეტიციის დღეს მამიამ იოხიოს როლის შემსრულებელმა, ამბავი მოიტანა:

— იცით, — დაიწყო მან უხერხულად, — ლიას შვებულება აუღია, დასასვენებლად წასულა.

— როგორ თუ შვებულება! — წამოვიძახე მე.

— დიახ, ფაბრიკაში მითხრეს....

— კი მაგრამ, რატომ არ გაგვაფრთხილა, თუ გამგზავრებას აპირებდა, — აღშფოთებისაგან თვალები და სახე წამომიხურდა, — რა სინდისია...

მოულოდნელმა წინააღმდეგობამ გული გამიბზარა, რწმენაც ოდნავ შემერყა. დავიბენი. სათუთი გრძნობა, წარმოსახვა და ოცნება წამით გამიუხეშდებოდა ხოლმე. მეჩვენებოდა, ლია სადღაც გარბის, მე უკან მივდევ გაბრაზებული, თმაში ხელს ვავლებ და მაღლა ვეწევი. ლია ტკივილისაგან იგრიხება. კივის: — რას მერჩით, რას! ეს უფრო მამწარებს, როგორ თუ ვერ ხვდება, რაც მინდა-მეთქი და ხელს ვკრავ, სახლის სახურავიდან ვაგდებ. კაბა ქოლგასავით ეშლება. მაგრამ ქვევით წყალი ყოფილა და გადარჩა... მერე ვითომ რეპეტიციაზე მოვიდა და დავიღრიალე: — მიბრძანდით აქედან! დაფეთებული გაბრუნდა უკან...

მერე ჩემი უხეშობის შემრცხვებოდა და ვფიქრობდი: რა მოხდა ასეთი, აგერ თვის ბოლოს დაბრუნდება და ყველაფერი კარგად იქნება. მაინც ვერ ვმშვიდდებოდი, ლიას დაბრუნება სრულიადაც არ ნიშნავდა მის რეაბილიტაციას.

როგორ მინდოდა, როგორ ვცდილობდი კარგი სპექტაკლი დამედგა. თვითეულ სიტყვას ქისიმში მივდევდი, მსურდა მისი ყოველი საიდუმლო და შესაფერი ქვეტექსტი გამემხილა ლიასათვის, რომ მას ნამდვილად ადამიანური სიყვარულით, სითბოთი ელაპარაკა, მაგრამ ლიამ უცნობი ადამიანივით ჩამიარა და ზურგს უკან უფერული, უხეირო კვალი დატოვა. მე რატომღაც ასე მეჩვენება — ადამიანები, როცა მშორდებიან და სადღაც, თავისი გზით მიდიან, ზურგს უკან ყოველთვის ჰაერის უხეშ მორევს სტოვებენ ხოლმე...

რაღას ვიზამდი! მის ჩამოსვლამდე იმ სცენებს უნდა დავბრუნებოდი, სადაც თვითონ არ მონაწილეობდა. გადასაყლაპავად მომზადებული ლუკმის ხელახლა ღეჭვა მოსაწყენია! თუმცა, ეს ზოგჯერ კარგიცაა.

ბევრი ახალი დეტალი მოვიგონე, ეპიზოდები უკეთესი სცენებით შევავსე. მაგრამ ჩემი ფინალური სცენა? — ისევ წეროდ გადაქცეული ქალი, როგორ სტოვებს მიწას, როგორ მიეშურება ცისკენ! — ეს იყო მაინც მთავარი...

ლია ერთ კვირაში უნდა დაბრუნებულიყო. კიდევ სამი რეპეტიცია, სამი რეპეტიცია ლიას გარეშე! შინ მოწყენილი ვბრუნდებოდი ხოლმე...

იმ დღეს ჩვენი ქუჩის აღმართზე მაია წამომეწია.

— როგორ ხარ, იკა? — ბაბუაწვერას ბუსუსი თმიდან ამომაცალა, —თეთრი თმა მეგონა.

— ჰოო...

— მოვიდა? — მკითხა მერე.

— ჯერ არა... — სწრაფად მივაბიჯებდი. როცა გაბრაზებული ვარ, სწრაფად ვიცი ხოლმე სიარული.

— ნუ გარბიხარ, დავიღალე, — თავი უკმაყოფილოდ გაიქნია მაიამ.

„მოგცლია ერთი“, — ნაბიჯი მაინც შევანელე.

— იცი, იკა, ერთმა ძველმა მსახიობმა გააკეთა იმ გოგოსავით. მაგრამ იმას ანტრეპრენიორთან ჰქონდა ფულის საკითხზე უთანხმოება. ადგა და პრემიერამდე ორი კვირით ადრე სხვა ქალაქში გადასახლდა. გესმის?

— ჰო, მერე? — ვუთხარი ზრდილობის გამო. არ აინტერესებდა.

— რა უნდა ექნა ანტრეპრენიორს, წარმოდგენის დადგმაზე გაწეულმა ხარჯებმა შეაწუხა, ადგა და რამდენსაც თხოულობდა, გადაუხადა...

მე არაფერი მითქვამს. მაიაც გაჩუმდა. ალბათ მიხვდა, ლაპარაკის ხასიათზე რომ არ ვიყავი.

— ეჰ! — ამოვიოხრე უნებურად.

— ნუ ნერვიულობ, იკა, ჩამოვა და ყველაფერს გააკეთებ...

ისევ მამიამ მოიტანა ამბავი:

— ლია გათხოვილა...

მოულოდნელობისაგან მხრები ავიჩეჩე.

საღამოს გიგუცა ბიძიამ გამომიძახა. კაბინეტში მარტო იჯდა, ტელეფონით ელაპარაკებოდა ვიღაცას. ყურმილი დადო და მითხრა:

— დათვალიერება ორ კვირაში დაიწყება.

— ვიცი.

— როგორაა საქმე, რას შვრებით?

— ცუდად. ლია გათხოვდა...

— გათხოვდა?

— გათხოვდა.

— კარგი გოგოა, ააშენოს ღმერთმა, — მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს დაუწყო მოგროვება, — კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ რაღა ვქნათ ახლა, ა?

— რამეს მოვახერხებ, გიგუცა ბიძია! — ვუთხარი მტკიცედ და მე თვითონ გამიკვირდა! „რას მოვახერხებ? რა უნდა მოვახერხო? ორ კვირაში ვისლა მოვამზადებ? სისულელეა. მაშ, რა უნდა ვქნა? რა! რა! რა!“.

— აბა, შენ იცი, — მეუბნება გიგუცა ბიძია, — იქნებ რომელიმე კლუბში დაიდგა ეს პიესა, ა? გაგება უნდა ამას. მიხვალ და თხოვ იქაურ შემსრულებელს, დაგვეხმაროს, ფულს გადავუხდით.

— კარგი.

— იციან, ჩვენ რომ ვმონაწილეობთ დათვალიერებაში და ახლა უხერხულია უარის თქმა. აბა, შენ იცი, იკითხე ყველგან, არ დაგეზაროს.



* * *

— ახლა რა უნდა ჰქნა? — მკითხა მაიამ, ყველაფერი რომ ვუამბე, — დათვალიერება...

— დათვალიერებაში მონაწილეობა უნდა მივიღოთ!

— როგორ?

— ჩვეულებრივად. რაღაცას მოვახერხებ.

მაია გაკვირვებული მიცქეროდა. თვალებში წუხილი, სინანული და სიბრალული ეტყობოდა.

მეჯავრება, როცა ვინმე სიბრალულით შემომხედავს ხოლმე, ვცოფდები. ახლა როგორღაც თავი შევიკავე.

— კარგი გოგო ხარ, მაია! — ვუთხარი ცალყბად და ლოყაზე მოვუთათუნე ხელი. მაიას გაეღიმა, თავი დახარა და იატაკს დააშტერდა. ცოტა ხნის მერე თავი მაღლა ასწია და მითხრა:

— შენზე ნაწყენი ვარ!

— ახალი ამბავი. მაინც რატომ?

— ყოველთვის აქებდი, ასეთი პიესაა, ისეთიო და კი არ წამაკითხე.

— ხომ გიამბე!

— რომ წავიკითხავ, მაინც სხვაა.

— საქმე არა გაქვს!.. მე უკვე აღარც მიყვარს...

— მოწონებით ხომ ისევ მოგწონს?

— არ ვიცი. ალბათ აღარც ესაა...

— სისუსტეა!

— შენ ასე გგონია?

მაიამ თავი დამიქნია.

— მოიტა, მოიტა, წავიკითხო, რამდენი ხანია პიესა აღარ წამიკითხავს...

* * *

ერთ კვირაში თითქმის ქალაქის ყველა კლუბი შემოვიარე და როგორც იქნა აღმოვაჩინე: ამას წინათ ერთერთი თამბაქოს ფაბრიკის კლუბში დაუდგამთ ეს პიესა. ჩემთვის მთავარი იყო ცინის როლის შემსრულებელი; მისამართი მომცეს, იგი დიდუბეში ცხოვრობდა. ტაქსი დავიქირავე და მივედი. ახალგაზრდა ქალი იყო, ხალისიანი, თავისუფალი. გარეგნულად ჩემს ცინს არ გავდა, მაგრამ მეტყველება და მოძრაობები საკმაოდ კარგი, მსუბუქი ჰქონდა.

სიამოვნებით დაგეხმარებით, — მითხრა მან, — მაგრამ იცით...

— რა?

— არა, არაფერი, უსათუოდ ვითამაშებ... ზეგ მაინც შემოიარეთ...

როგორც მითხრა, ტექსტი კარგად იცოდა, მიზანსცენებს კი სახელდახელოდ დავაწყობდით...

* * *

ეზოში ბიჭები ყაყანებენ. გიოს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო გაუფუჭებია.

ღია ფანჯრიდან მაიას ხმა გამოდის. სიტყვებს ვერ ვარჩევ, ეტყობა საწერ მაგიდასთან ზის. საწერი მაგიდა ოთახის მეორე ბოლოში უდგას. ასე გაცხარებული ნეტა რას კითხულობს! გათენების მერე განუწყვეტლივ დიგდიგებს და დიგდიგებს.

— გამარჯობა, მაია!— ვეძახი და ფანჯრის პირდაპირ ვდგები. ოთახში ხმა წყდება. მერე ისმის სკამის ჭრიჭინი, ფურცლების შრიალი, ფეხსაცმლის ქუსლების კაკუნი...

ოთახის სიღრმიდან, ფანჯრის ჩარჩოს, როგორც კინოკადრშია ხოლმე, თმის სწორებით მოადგა მაია. მეცადინეობის დროს თმას წამდაუწუმ იჩეჩავს. მე რომ ასე ვიჩეჩო, ალბათ, ერთი ღერიც კი არ შემრჩება. ერთ ჩემს ნაცნობს მოთხრობების წერისას ჩვეულებად ჰქონდა თმის ჩეჩვა და გაიფცქვნა კიდეც. „წერის დროს ძალიან ვნერვიულობ, განვიცდიო", — ამბობდა.

მაიას სახე ასწითლებია, თვალები მოღლილი აქვს და როგორღაც დამორცხვებული მიღიმის.

— რა ამბავში ხარ? საწერ თემებს იზეპირებ?

— თემებს?.. ჰო, თემებს ვსწავლობ, აბა „შპარგალკების" იმედით ხომ არ ვიქნები!

— გაქვს?

— არა, არც დამიწერია.

— რატომ? ყოველ შემთხვევისათვის...

— რად მინდა! ვინ შემატანინებს!

— წამოდი ხვალ! — უცებ სერიოზულ სახეს ვღებულობ.

— სად? — მაია აღარ იღიმება.

— კლუბში. რეპეტიცია მაქვს, თავიდან ბოლომდე გავივლით.

— მართლა! კი, მაგრამ...

— არის ერთი ქალი, ამ პიესაში უთამაშნია, მოვიწვიეთ.

— რა კარგია! — მაიას მთელი სახე უცინის, მკერდზე ხელებს მიტყაპუნებს, — ხომ გიხარია, ხომ დამშვიდდი ახლა?

— სულ არ მიხარია.

— რატომ? — ქვედა ტუჩი წინ გამოსწია და გვერდულად მიცქერის.

— ლიასთან შეჩვეული ვიყავი. მე და ლია თითქმის ერთნი ვიყავით. ყველაფერი ჩემი ჰქონდა: გრძნობა, სისხლიც კი, ჩემი ხელწერა ეტყობოდა, ჩემი საკუთარი, გესმის? აი, ყველას ხომ საკუთარი ხელწერა აქვს, სხვადასხვანაირად სწერენ... შენ სხვანაირად, მე — სხვანაირად, ასეა აქაც...

— მაინც კარგია, რომ არ ჩაგეშალა!

ერთხანს ვდუმვართ. ეზოში ისევ ფეხბურთია. ფოსტალიონმა გაზეთების და წერილების ჩამორიგება დაიწყო.

— რა ტიპია ეს რეზო! — იღიმება მაია.

— რაზე ამბობ? — რეზო ჩვენს ინსტიტუტში სწავლობს, სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსზე.

— წეღან დამირეკა.

— რა მინდაო?

— ქალაქგარეთ გავისეირნოთო.

— ბიჭოს! შენ რა უთხარი?

— არ მცალია-მეთქი...

— კიდევ უნდა იმეცადინო?

— ოჰ, არა...

— ცურვაზე წავიდეთ.

— კარგი.

ქუჩაში საშინლად ცხელა. ასფალტი ადუღებულია, გავარვარებული, ლანჩები ეკვრის. ჭადრების ჩრდილში მივაბიჯებთ. მაიას წითელი კაბა აცვია. სახე ოდნავ უფერული აქვს და წითელი ფერი სინათლეს მატებს. ტუჩები ნიგვზის კანით გაუფერადებია, ღიმილი მკვეთრი და უფრო ლამაზი გამოუდის. უცებ კოცნის სურვილმა შემიპყრო — გამობურცულმა ქვედა ბაგემ გამაღიზიანა... გულაჩქროლებული გვერდზე ვიხედები, თვალებს ვხუჭავ და სახეს ხელით ვიჩრდილავ მზისაგან. მაიას მზის სათვალე უკეთია. ჩემი სათვალე შინ დამრჩა, აღმართი რომ ჩამოვიარეთ, ახლა მომაგონდა. მაიამ მითხრა, ჩემსას გათხოვებო. არა-მეთქი. მოედანზე ნაყინი ვიყიდეთ და ტროლეიბუსში ჩავსხედით.

* * *

ტროლეიბუსიდან ჩამოვდივართ და მაია ქალთა განყოფილებაში შედის, მე — ვაჟთაში. ულვაშებიან ცურვის მასწავლებელს ახალი „მოწაფეები“ მოსვლია, ღიპიანი, ჭაღარა მამაკაცები მძიმედ დგაფუნობენ წყალში...

აუზის ბოლოში რეზოს მოვკარი თვალი, ვიღაც ბიჭებთან ზის, საცურავის ამარა. ისიც მამჩნევს და ხელის აწევით მესალმება. ტანზე ვიხდი და აუზში ვხტები. ცივი წყალი მსიამოვნებს.

— როგორ არის შენი მეზობელი, რას შვრება? — ბოხი ხმით მეძახის რეზო.

— ვინ? — ვითომ ვერ ვხვდები...

— მაია!

— მეცადინეობს! „გარეთ რომ ნახოს“?

ცოტა ხნის მერე ვიცვამ და გარეთ გამოვდივარ. მაიაც მალე გამოჩნდა. ქუჩას ზევით ავყევით.

— რეზომ მოგიკითხა.

— მანდ იყო?

— ახლაც იქაა. მოგწონს რეზო?

მაია კისკისებს.

— რატომ მეკითხები?

— ისე, თუ მოგწონს-მეთქი.

-- ადამიანია.

— ყველა ადამიანი მოგწონს?

— ყველა არა, მაგრამ, როცა მათ სიცოცხლეზე, ბედნიერებაზე. ვფიქრობ, ყველანი მიყვარს. შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ასე ვარ ხოლმე,—ატმის კურკას ფეხი დავკარი, რკინის ბოძს მოხვდა და შუაზე გაიხსნა, — თუმცა ყველა როდია სიყვარულის ღირსი...

ტრამვაის ლიანდაგზე გადავდივართ და ვიწრო ქუჩაზე ვუხვევთ.

— სად მივდივართ, იკა?

— იმ ქალთან ავირბენ, აქვე ცხოვრობს, დამიცადე...

ჩქარა ვბრუნდები უკან.

— რაო?

— ამ საღამოს მივლინებაში მიდის ერთი კვირით.

მაიას შუბლი ეჭმუხნება. ცა კი მოწმენდილია, ლურჯი და მზით განათებული.

— კი მაგრამ... — მაია დაბნეული მიყურებს.

— გადაწყვეტილია! დიდი ხელმოცარული ვინმე ვარ, არა?

— რა შენი ბრალია.

— უპატიოსნობაა!

— რა არის უპატიოსნობა?

— ამდენი ხანი ხელფასს ვიღებდი და რა გავაკეთე! კლუბში რომ მივდივარ, თანამშრომლების შეხედვა მრცხვენია.

— რას იზამ... — ამბობს მაია, ვერ ვხვდები, ამითი რისი თქმა სურს. ათასი კუდი აქვს სიტყვას.

— რა უნდა ვქნა! ბიძაჩემს ვეტყვი, გამანთავისუფლოს.

— არ გრცხვენია, იკა! ეს ხომ სისუსტეა.

— ინსტიტუტს დავამთავრებ და ჩემს საქმეს თეატრში გავაკეთებ!

— რაკი დაიწყე, უნდა დააბოლოო, — იღიმება მაია.

— ჰმ! — მოწოლილი ბოღმა თვალებს მწვავს. ყველა მძულს ახლა. მაიაც კი! როგორ უდარდელად იღიმება, მე კი ცეცხლი მედება გულზე. რატომღაც პირფერი და არაგულწრფელი მეჩვენება იგი, ყოველთვის ასეთი იყო-მეთქი, ვფიქრობ. მინდა, რომ ერთი მაგრად შევუკურთხო და გავიქცე...

— ლია რომ მოვიდოდეს, ხელადვე სხვა ხასიათზე დადგები, არა? — მაია აღარ იღიმება. თვალებს ხან ჭუტავს, ხან ფართოდ აღებს, გამომცდელად მაკვირდება.

— მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

მაია თავს დაბლა ხრის, ჭადრის ფოთოლს გორგლავს:

პროსპექტზე ხალხი ირევა. ვიღაცამ გვერდი გამკრა...

— მოდი, კინოში შევიდეთ, — მეუბნება მაია.

— შევიდეთ! რომელზე იწყება?

— ოთხზე. ათი წუთი აკლია.

ბილეთებს ვიღებთ და შევდივართ. ორსერიიან ახალ ფილმს უჩვენებენ — „ცოცხლები და მკვდრები“...

* * *

კინოდან დაბინდებისას გამოვდივართ. ტროლეიბუსში ვჯდებით და მოედანზე ჩამოვდივართ.

მაია ხმას არ იღებს, დაფიქრებული მოაბიჯებს.

„მძიმე სურათია, როგორ კანკალებდა“!

— რა კარგი პიესაა! — ცოტა ხნის მერე ამბობს მაია.

— პიესა თუ ფილმი?

— ის პიესა... მიამბე რა, იკა.

— ხომ გიამბე... მაგრამ აკი წაიკითხე კიდეც!

— მიამბე რა, ძალიან გთხოვ, — ისე მეხვეწება, უარს ველარ ვეუბნები. უხალისოდ ვიწყებ:

— კაცმა ტყეში ფრთამოტეხილი წერო იპოვა, შინ წაიყვანა...

— ჰო...

— უწამლა, მოარჩინა, ფრთა გაუმთელა. მადლიერი წერო ქალად გადაიქცა (კაცი უცოლო იყო) და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ჰაერი შეხუთულია, ცხვირსახოცს ვიღებ და ვინიავებ.

— მერე, მერე?

— ქალს ცინი ერქვა, კაცს—იოხიო... — მაიას თვალები უელავს, დაჟინებით და აგზნებით მიყურებს. — ერთ დღეს ,— განვაგრძობ მე, —ცინმა არაჩვეულებრივი ხალიჩა მოქსოვა. ასეთი ხალიჩის მოქსოვა ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



არავის არ შეეძლო. შედიოდა სამქსოველოში, გადაიქცეოდა წეროდ და საკუთარი ფრთებით ქსოვდა... ხალიჩა საწოლის წინ იატაკზე დააფინა.

— რა ლამაზი ხალიჩაა! მე ვხედავ იმ ხალიჩას.

— ჰო... იოხიოს მეზობლად ორი ვაჭარი ცხოვრობდა. ვაჭრები კინაღამ ჭკუაზე შეცდნენ, ცინის მოქსოვილი ხალიჩა რომ ნახეს. გადაწყვიტეს ფული ეშოვნათ და იოხიოს შეუჩნდნენ: ცინს კიდევ მოაქსოვინე ასეთი ხალიჩა და ოქროში ჩაჯდები, გამდიდრდებიო. დაიყოლიეს. იოხიომ ცოლს გამოუცხადა: ან ხალიჩა მოქსოვე ან უნდა მიგატოვოო... ცინს უყვარდა მისი მხსნელი, გადამრჩენელი ადამიანი და ვეღარ უთხრა უარი. მოქსოვა ხალიჩა, მაგრამ ადამიანების მიმართ რწმენა დაჰკარგა, ცაში დაბრუნება გადასწყვიტა...

— მოიცა, იკა, — მაწყვეტინებს მაია და სადარბაზო შესასვლელთან ჩერდება. სადარბაზოში სიჩუმეა. ნათურა გადამწვარა და ქუჩასთან შედარებით ბნელა.

— რა იყო?

— არ გაგეცინოს!

— რა არის სასაცილო?

— არ გაგეცინება?

— არა...

მაია ჩურჩულებს:

ცინი — „ნუ დამივიწყებ (ხმას ოდნავ აუწია), ეგ ქსოვილიც შეინახე, მოუფრთხილდი, „როგორც სახსოვარს"... ასე არ არის?

მესმის ნაზი, სიყვარულით, სევდით სავსე მთრთოლვარე ხმა, ჟრუანტელი მივლის. ნუთუ ეს მაიაა? მეჩვენება? თუ წარმოვისახე, თუ... ხელს ვკიდებ მკლავზე.

— როგორ სთქვი, მაია? გაიმეორე, გაიმეორე!

მაია განაგრძობს:

— „მშვიდობით, ჩემო, მშვიდობით!"

— „ცინ?! — ვპასუხობ მე.

— „მაგ ხალიჩას კარგად გაუფრთხილდი, არასოდეს არ მოიშორო. მე ხომ შენთვის ვქსოვდი, სიყვარულისთვის, ბედნიერებისათვის — მთელი სული და გული შიგ ჩავაქსოვე"...

„ცინ!"

— „შენ მთხოვდი, ფულისთვის მომექსოვა, თუ არა და მიმატოვებდი. აჰა, ხომ მოგიქსოვე, ძვირფასო, წაიღე და გახდი მდიდარი. წაიღე, რაკი ასე ძლიერ გიყვარს ფული. მე კი ყველა ფრთა, რაც შემაჩნდა, ამ ქსოვილზე დამეხარჯა... მხოლოდ იმდენი დავიტოვე, ასაფრენად რომ მყოფნოდა... მივდივარ, უნდა დავბრუნდე ცაში... მშვიდობით, თავს გაუფრთხილდი...."

ისე დამაჯერებლად, ისე გულწრფელად და განცდით ამბობს ამ ბოლო მონოლოგს, რომ ცახცახი მიტანს.

— გადასარევი ხარ, გოგო... — კბილების კაწკაწს ვეღარ ვაჩერებ, — რა ჯანდაბა მომდის!

— მართლა, იკა?

— მართლა... თავიდან ბოლომდე ისწავლე, მაია, თავიდან ბოლომდე?

მაია ხმას არ იღებს, ეღიმება. სადარბაზოში ბნელა, მაგრამ მისი თვალების გაელვებას კარგად ვხედავ, ქუჩიდან შემოსული სინათლის ზოლი უნათებს სახეს.

— მითხარი, მაია...

— ყოველი შემთხვევისათვის მოვამზადე, მინდოდა, რომ პიესა დადგა... მინდოდა დაგხმარებოდი...

— კი, მაგრამ, გამოცდები?

— გამოცდებამდე ერთ თვეზე მეტი დარჩა, მოვასწრებ!

— მაია...

— რა თქმა უნდა, მოვასწრებ.

— რა კარგი გოგო ყოფილხარ, მაია! — მკლავზე მაგრად ვუჭერ ხელებს. ცხელი მკლავები ჰქონია, როგორი ცხელი! რა მომდის? მთელი სხეული მითრთის. უცებ თვალებზე რაღაც მეფარება, წელზე ხელს ვხვევ და ვკოცნი. ვკოცნი თვალებში, ცხვირზე, ლოყაზე, ვკოცნი ტუჩებში...

— ვაიმე, იკა, — ამბობს მაია (ალბათ რაღაც ვატკინე), ხელებიდან მისხლტება და გარბის. კიბე აირბინა და მოიხედა.

— მიყვარხარ, მაია!

— ჩუმად, იკა, აივანზე არიან! — საჩვენებელ თითს ტუჩებზე იდებს.

— კარგი, — ვამბობ მე, — ხვალ...

— ხვალ ერთად წავიდეთ რეპეტიციაზე, — მაია თავს მიქნევს და კედელს იქით უჩინარდება...

* * *

...დარბაზი ტაშით ინგრევა, მაღლა აწვდილ ხელებად გადაქცეულა.

— რეჟისორი, რეჟისორი! — გუგუნებს ხალხი.

თავდახრილი ვდგავარ სცენაზე, თაიგულებში ჩაფლული. მაიაც ჩემს გვერდითაა... ხალხი არ იშლება, კლუბის წინ დგანან, როგორც „დინამოს" სტადიონზე მოგებული მატჩის შემდეგ. ჩვენს გამოსვლას ელოდებიან... აი, გამოვდივართ. უცებ ვიღაცეებმა ხელები დამტაცეს და მაღლა ამისროლეს. ქვევით რომ ვეშვები, გული მიფრთხიალებს, ხალხი კი გუგუნებს და ისევ მაღლა მისვრიან. მაიაც ჩემთან არის, მაღლა, მაღლა, სულ მაღლა, ერთმანეთს ხელს ვკიდებთ და ვიცინით, ვიცინით...

რა ლამაზია ახლა ქალაქი, რა საყვარლად ციმციმებენ ნათურები!

— მიყვარხართ, ნათურებო! ადამიანებო! მიყვარხარ, მაია! — ვყვირი მთელი ხმით და სადარბაზოს კარს ვეხვევი.

— რა მოხდა, ბიძია, რა გაყვირებდა?! — გაკვირვებული გამვლელი სადარბაზოში იხედება. ოცნებიდან ვერკვევი.

— არაფერია... უკაცრავად! — ვპასუხობ და კიბეზე ავრბივარ...

რა გაძლებს ხვალ დილამდე!

## ნაუკითხეთ პაჭარებს

### წვიმის შემდეგ

*გამუდმებით*
*ქუხს და ელავს,*
*წვიმამ ყველა*
*დაასველა.*

*მხოლოდ ჭუკი,*
*ბატის ჭუკი,*
*ღვარს მიჰყვება*
*ჭუკ... ჭუკ... ჭუკით.*

*ლალის უკვირს,*
*ნუნუს უკვირს,*
*გულადობა*
*ბატის ჭუკის.*

თამაზ შათირიშვილი

### საბაგირო გზა

*ჩვენი ლელის ორ ტოტს ორფად*
*გამოვაბი მავთული,*
*ცისო ზის და იყურება*
*ჩემი საქმით გართული.*

*გამოვნახე შენახული*
*ბებოს ლელის კალათა,*
*იმ მავთულზე ჩამოვკიდე,*
*ფისო ჩავსვი ძალათა.*

*გამოვწიე მავთული და*
*ამოძრავდა კალათა,*
*ფისუნია მოიბუზა*
*ხამი მგზავრის გვარადა.*

*არ შეშინდე!—ჩიტუნიამ*
*ანუგეშა ზევიდან,—*
*ასეთია მგზავრობა*
*საბაგირო გზებითა.*

ნუნუ ლალიძე

### როგორ უნდა მაჯობონ?

*ცურვა ვეღარ ვისწავლე,*
*ფიქრით ლაპის არ მძინავს.*
*მდინარე არ მიბრალებს—*
*შევალ, უმალ ჩამძირავს.*

*როცა წყალში ჩავხედავ,*
*გული ჯავრით მევსება,*
*როგორ უნდა მაჯობონ*
*იმ პატარა თევზებმა?*

ტარიელ ხავთასი



# ქვაზე გაცოცხლებული ფოთლები

გოდერძის გადასასვლელთან გეოლოგებმა ზურგჩანთები მოიხსნეს, შარვლები ჩამოიბერტყეს. ფერგადასული ფეხსაცმელები ქვიშით ავსებოდათ, გაოფლილ სახესა და თმის ძირებში მტვერი ჩამჯდარიყო. ადიგენიდან ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე არავინ ჩანდა, რომ ის დიდი ამბავი ეთქვათ, რისი მოწმენიც იყვნენ. გაჩერება არ ღირდა. უნდა ეჩქარათ, რომ ბანაკში დაბრუნება მოესწროთ. ზურგჩანთები მძიმე იყო. ისინი კლდის ნატეხებით ავსოთ.

ჩუმად იდგნენ. ალბათ, ასეა, როცა დიდი სიხარული მიგაქვს, როცა ჩანთაში განძია, რომელიც რამდენიმე წუთის წინ კლდეში ჩამოანგრიე, როცა მტვერგადაცლილ ქვაზე თითით მოხაზე ფოთოლი, რომელიც მილიონი წლის წინათ ცოცხლობდა, მერე მოწყდა ხეს, დაეცა მიწაზე, მიწასთან ერთად გაქვავდა და თავისი კვალი ქვაზე დასტოვა... ალბათ, ასეა, როცა ამგვარ ქვას იპოვნი და მასზე გაცოცხლებული ფოთლები დაიწყებენ ამბის თხრობას.

გოდერძის გადასასვლელთან გეოლოგებმა კვლავ ახედეს კლდეში გაქვავებულ ჟანგისფერ ხეს, ჩანთები მოიკიდეს და მიდიან ჩუმად, თითო-თითოდ, ერთმანეთის ზურგს უკან... ასე უფრო ადვილია წარმოიდგინო, რა იყო რამდენიმე მილიონი წლის წინათ.

ახალციხის მიდამოებში პალმები ხარობდნენ, თვალუწვდენელი პალმის ტყეები. ხეებს პრიალა, ბრტყელი ფოთლები ესხა, დაახლოებით ისეთი,



როგორიც ახლა ჰიმალაის სამხრეთ ფერდობებზეა. ახალციხესთან პალმები ხარობდნენ და ჰავაც იყო ცხელი, თითქმის ტროპიკული. ეს პალმები ფართო საჩრდილობლებს შლიდნენ და დასიცხულს თავის გრილოში ასვენებდნენ. ერთ დღეს ვულკანური წვიმა მოვიდა. ტალახის ღვარებად გაიშალა წვიმა მიწაზე. საჩრდილობელი პალმები ფერფლით დაიფარა და იქაურობა გაქვავდა, გაქვავდა ისე, როგორც ქალაქი პომპეი...

ადიგენის ახლოს გეოლოგები უკვე მძიმედ მიდიოდნენ და კიდევ ბევრ რამეზე ფიქრობდნენ.

მეორე ზაფხულს უფლისციხესთან გაიშალა ბანაკი. მთელი თვე დაეძებდნენ კლდეში გაქვავებულ მცენარის ფოთლებს, ღეროებს, ყვავილს, თესლს. გაირუჯნენ, ჟანგისფერი გაუხდათ სახე, ყელი, ხელები. მზის გაგრილებას პირდაღებულ გამოქვაბულებში უცდიდნენ. საღამოს გამოდიოდნენ მისი სილით ამოვსებული ხახიდან. მერე გორისკენ მიმავალ საავტომობილო გზას გაჰყვნენ და კლდეში წითელი თიხოვანი ფენა გამოანგრიეს. ხელები არ აცლიდნენ ერთმანეთს გაქვავებული მცენარეების აკრეფას.

— ეს ხმელეთის მცენარეებია, ზღვაში ჩაყრილი. ამ კლდის ადგილას ადრე ზღვა იყო, — ამბობდნენ გეოლოგები.

რამოდენიმე მილიონი წლის წინათ, ის ადგილი, სადაც ჩვენ ახლა დავდივართ, სადაც ქართული სიტყვა ისმის და ქართული მიწაა, ზღვით იყო დაფარული. ხმელეთის პატარა ნაწილები კუნძულების სახით გაფანტულიყო ამ ზღვაში. მერე ზღვამ თანდათანობით დასტოვა საქართველოს ტერიტორია, შავი და კასპიის ზღვების აუზები გაითიშნენ. ჯერ დაახლოებით შორაპნის მახლობლად, ძირულასთან გაჩნდა ყელი, მერე თანდათან მთელი ქართლი და ბოლოს კახეთიც ხმელეთად გადაიქცა. დასავლეთ საქართველოში უფრო ნელა იხევდა დასავლეთისკენ შავი ზღვა. კავკასიონის და აჭარა-თრიალეთის ქედი ზემოთ ამოიწია და გაჩნდა მთიანი რელიეფი. რელიეფის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს ფლორაც სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა.

და დადიოდა საქართველოს ფლორის შესასწავლად თავის პარტიასთან ერთად მედეა დიმიტრის ასული უზნაძე, ხან ახალციხესთან იყო, ხან უფლისციხის გამოქვაბულთან, აკვირდებოდა კლდის ფენებს, ანგრევდა, ეძებდა, პოულობდა. ნაპირნაპირ მიჰყვებოდა მტკვარს, კოდორს, რიონს. ეძებდა მცენარეებს, რომლებიც იტყოდნენ სარწმუნოს ამ მდინარეთა დაბადებაზე. ასე დადგინდა მტკვრის, კოდორისა და სხვათა ასაკი. საველე სამუშაოების შემდეგ ის იჯდა წიგნებთან, კითხულობდა მათ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე, ხშირად ჩადიოდა ლენინგრადში, უმდიდრესი ლიტერატურის გასაცნობად, სწავლობდა შუა აზიის, ურალის ფლორას, აღადგენდა მის თავისებურებებს, ჰყავდა ასპირანტები თბილისში, ბაქოში, წერდა ნაშრომებს, მუშაობდა წიგნზე — „პალეონტოლოგიის საფუძვლები", გზავნიდა სტატიებს საზღვარგარეთ, იბეჭდებოდა მისი გამოკვლევები უცხოეთში, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

და გავიდა ოცდახუთი წელი.

მის სამუშაო ოთახში საქართველოს ფლორის ამსახველი რუკაა. მუქი წითელი, ღია, უფრო ღია, ვარდისფერი, ლურჯი, მწვანე ლაქები ჩემთვის გაუგებარ ენაზე ყვებიან, სად და როდის როგორი მცენარეულობა იყო. მაგიდაზე ქვის ნატეხები აწყვია, ზოგზე ფოთოლია გამოსახული, ზოგზე ხის ქერქი, ზოგზე მცენარის ღერო, ზოგზე თესლი და ზოგზე მტვერი. მეცნიერებას, რომელიც ამ გამარხებულ მცენარეებს შეისწავლის, პალეობოტანიკა ჰქვია. განახშირებული ან რაიმე ხსნარებით გაჟღენთილი მერქნები, ფოთლის ან ძალიან იშვიათად, ყვავილის ანაბეჭდები, ქერქის ანაბეჭდები, გამარხებული თესლი ან გამარხებული მტვერი და სპორები —ყველაფერი ეს, ქვადქცეული, ოდესღაც ცოცხალი ორგანიზმის პატარა ნაწილი, არის ის, რამაც უნდა აღადგინოს სხვადასხვა დროის ფლორა და იმ დროის გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით მცენარეული საფარი და კლიმატური პირობები.

პალეობოტანიკა დგას ორი მეცნიერების—გეოლოგიისა და ბოტანიკის მიჯნაზე და ამიტომ იგი ორი მეცნიერების სამსახურშია. იმდენად, რამდენადაც იგი შეისწავლის მცენარეებს, მათ ხასიათსა და განვითარებას, ის ბოტანიკური მეცნიერებაა. მეორეს მხრივ, პალეობოტანიკური მონაცემებით შესაძლებელი ხდება მცენარეების შემცველი შრეების ასაკის დადგენა. ამდენად იგი ემსახურება გეოლოგიას. პრაქტიკული თვალსაზრისით პალეობოტანიკური მონაცემები დიდ როლს თამაშობს ქვანახშირის აუზების შესწავლაში.

რისი მეცნიერი თანამშრომელი მედეა სამსახურისკენ მიიჩქარის, ხიდზე ნელა გადის და ვინ იცის, მერამდენედ აკვირდება ხიდის ქვემოთ კლდის შრეებს. მისი თვალი მიჩვეულია მათ ჭვრეტას. ფუნიკულორის პლატოზე ასვლისას კი ფიქრობს, რომ, როცა ეს შრეები ილექებოდა, თბილისში იყო უფრო ცხელი ჰავა და ამ ადგილებში ხარობდა მარადმწვანე მცენარეები.

შარშან ზაფხულს ის გურიაში წავიდა და თან წაიყვანა ვაჟიშვილი. სოფელ ჩოჩხათში გორაკზე გაშენებული სკოლის ახალი შენობა მოეწონა. თვალში მოხვდა მთის შრეების საინტერესო განლაგება, ჩამოაცალა გვერდითი კედელი და მოულოდნელობისაგან გაშეშდა: „აქ იქნება უმდიდრესი მასალა, რაც ახალ სიტყვას იტყვის საქართველოს ფლორაზე. მაგრამ როგორ უნდა გამოინგრეს კლდე? სკოლაში ხომ ბავშვები სწავლობენ?"



სულ ახლახანს მე ის ვნახე აღელვებული.

— იცით, რა არის ეს, რა აღმოჩენაა! დააკვირდით! — და ქვაზე ამობეჭდილი მცენარის ქერქი მაჩვენა.

— ეს ქვა კავკასიის მთებიდან ჩამოიტანეს. ჩემის აზრით, მასზე ამობეჭდილი მცენარე ლეპიდოდენდრონია, რაც დღეს არ გვხვდება. ეს იყო უზარმაზარი ხე, რომელსაც ჰქონდა გრძელი, ნემსისებური ფოთლები. ფოთლები პირდაპირ იყო მიმაგრებული ღეროზე და ჩამოცვენისას ტოვებდა ისეთ კვალს, რომელიც არცერთ სხვა მცენარეს არ გააჩნია. ამ ხეების თუნდაც სულ პატარა ნაგლეჯი რომ ვიპოვოთ, სრული სიზუსტით შეიძლება ვთქვათ, რომ შრეები, რომლებმაც მცენარე შემოგვინახეს, 350 მილიონი წლის წინანდელია. ამას ვიტყვით კავკასიონის მთის შრეებზეც. შეიცვლება მათი დღემდე ცნობილი ასაკი.

...უკვე აღარ ვუსმენ, რას ამბობს იგი, შევყურებ მის ანთებულ სახეს და მესმის, რას ჰყვებიან ქვაზე გაცოცხლებული ფოთლები.

ლია კაკაბაძე

# სკოლა უნივერსიტეტში

ფოტო დ. იაკობაშვილის



მორიგე მეცადინეობა



მოსწავლე გიორგი კაფიანი

ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ-მათემატიკოსებმა ქალაქის მოსწავლეებისათვის უნივერსიტეტთან ნორჩ მათემატიკოსთა სკოლა ჩამოაყალიბეს. ამ წამოწყების შესახებ წერდა „კომსომოლსკაია პრავდა." საინტერესო ინიციატივას გამოეხმაურნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები. მათ ყალდებულება აიღეს უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოეყალიბებინათ ნიჭიერ ბავშვთა ფიზიკა-მათემატიკური სკოლა. კომკავშირელების თაოსნობას დეკანატმაც დაუჭირა მხარი და მალე სტუდენტებთან ერთად ნიჭიერი ბავშვების შესარჩევად თბილისის სკოლებში გაემართნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ სალუქვაძე, ასისტენტები არჩილ სულაქველიძე და არკადი ქურჩიშვილი, ასპირანტი ირაკლი მაჩაბელი და ალექსანდრე ნადირაშვილი.

შედეგი ნაყოფიერი გამოდგა. მოსწავლეების დიდი ნაწილი კარგად ფლობდა ფიზიკასა და მათემატიკას და უნივერსიტეტში მეცადინეობის სურვილიც გამოთქვეს. მეცადინეობა დაიწყო. ეს იყო ორი წლის წინათ.




ირაკლი მაჩაბელი და გულნარა ფანცხავა

ახლა ამ სკოლას მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. მეცადინეობა საშუალო სკოლისაგან რამდენადმე განსხვავებულად მიმდინარეობს: ტარდება კვირაში ორჯერ — ერთ დღეს ფიზიკაში, მეორე დღეს მათემატიკაში. თითოეულ ჯგუფში ერთი კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებული; თანდათან რთულდება მათი სასწავლო პროგრამა, რათა ფიზიკისა და მათემატიკის ზოგადი საკითხების საფუძვლიან შესწავლასთან ერთად გაეცნონ შედარებით რთულ საკითხებს. მაგალითად, მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეები სწავლობენ უმაღლესი მათემატიკის ელემენტებს, სემინარულ მეცადინეობაზე ეცნობიან ანალიზური გეომეტრიის, ზღვართა თეორიისა და დიფერენციალური აღრიცხვის ზოგად საკითხებს.

უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის პოპულარობამ თბილისელ მოსწავლეებში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სკოლის არსებობის შემდგომ წელს სწავლის უამრავი მსურველი მოვიდა. პედაგოგთა რიცხვს ბევრი ახალი წევრი შეემატა — ასისტენტი გიული ფანცხავა, სტუდენტი ევგენია კურცხალია და სხვები. ისინი ენერგიას არ იშურებენ, რათა ამ ახლადდაწყებულ საქმეს უფრო მეტი გაქანება მიეცეს, ისეთი, როგორიც მას ნოვოსიბირსკში აქვს. მაგალითად, შარშან ნოვოსიბირსკელებმა ოლიმპიადა ჩაატარეს სამ ტურად მათემატიკაში. პირველი და მეორე ტური დაუსწრებელი იყო. მესამე ტური ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში გაიმართა. შემდეგ კი მოაწყვეს საზაფხულო ბანაკი, სადაც გამარჯვებულ მოსწავლეებთან ერთად ცხოვრობდნენ ახალგაზრდა მეცნიერები. მთელი საზაფხულო დასვენება აგებული იყო პრინციპზე: „ვინ სწრაფად მოისაზრებს". მეცნიერთა და მოსწავლეთა მათემატიკურმა საზაფხულო ბანაკმა ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. თბილისელი ენთუზიასტებიც ცდილობენ უკეთ წარმართონ ნორჩ ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა სწავლება. უდაოა, მათი წამოწყება დიდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას.

თეიმურაზ ქურდოვანიძე



მოსწავლეები მარინე ლომოური და თამარ მაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამყიდველის ღიმილი

გვიან იწყება გაზაფხული მთაში...

მარტის დილა ზამთარს ჰგავს. მზე, თეთრად შესუდრული კლდეების წვერებიდან თითქოს მოიპარებაო, ფეხაკრეფით ეშვება დაბლა.

ხალხი არ ელოდება მზის ამოსვლას, უთენია დგება. ჯერ ერთი ახლადაშენებული სახლიდან ამოვარდება კვამლი, მერე მეორედან... ... სოფელი ჰაეროვან



ჩადრში გახვეული ეგებება მნათობს. წყაროს წყალთან სოფლის ნახირი მოგროვდება. „თულუხებით“ ქალი და რძალი გამოიშლება. მერე თოვლით გათეთრებულ გაყუჩებულ არემარეში საქონლის ბღავილი და წყაროზე მოსული ქალების გაუთავებელი ლაპარაკი ისმის:

— დიანავ, რას ამბობს შენი მამამთილი, როდის გათბება?

— გაზაფხულს პირი არ უჩანს და ეშინია, საქონელს საჭმელი დააკლდება...

— ახლა მზე ამოდის, შუადღისას თოვლი წამოვა!

— ძველთაგან ნათქვამი სწორია: მარტი ლამაზი ქალია, წასთოვს-წამოსთოვს, დარია...

მერე წყლით სავსე თულუხით მარსაგიშვილების ოჯახის რძალი აჩქარდება. ნეტა რად?..

... ჯერ ბიჭებს უნდა აჭამოს. ცხრაზე სამსახურში გაიქცეს. ათ საათზე იწყებს მუშაობას, მაგრამ გუშინ საქონელი მიიღო: ქალის ჟაკეტები, მამაკაცის წინდები, ბავშვის ნაქსოვები და საათები. ამ ნივთებს მაინც შეიძენს მომხმარებელი და იქნებ გეგმის შესრულებას საშველი დაადგეს. გასულ წელს უფრო კარგად ჰქონდა საქმე: მაისის გეგმა 500 მანეთის გადაჭარბებით შეასრულა. ივნისის — 1000 მანეთის გადაჭარბებით. და ასე გაგრძელდა შემდეგაც, სანამ გზა ჩაიკეტებოდა.

სამშაბათს რევიზიას ელიან, აღწერა იწყება... საბუთები და დიპლომი ყუთში აქვს. გარღვევა არ ჰქონია. საყვედური მასზე არ ჩაწერილა და არც დაუმსახურებია, როგორც გამყიდველს. ქებას თუ წაიკითხავენ, ეს მათი საქმეა...

მისი სამსახური რაიონის ცენტრშია, თვითონ მახლობელ სოფელში ცხოვრობს, სამი კილომეტრის მოშორებით. ზაფხულში ეს გზა მთის ნაირნაირი ყვავილებითაა მოფენილი, ზამთარში დიდი თოვლი დევს, გორაკები და საურმე გზა გასწორებულია, სითეთრე თვალს ჭრის.

ყოველდღე ჩაივლის და ამოივლის ამ გზას დიანა ქუშაშვილი. ყაზბეგის რაიუნივერმაღში გალანტერიის სექციას განაგებს ის. ხალხის თქმით, იოლი და საქალო საქმე აბარია, მაგრამ თვითონ უფრო გამოცდილად მსჯელობს: გამყიდველობა იოლი არაა, მითუმეტეს მაშინ, როცა გსურს მომხმარებელთა გულის მოგება. დიანა ცდილობს არავინ ჰყავდეს უკმაყოფილო, დაუზარებლად ემსახურება მომხმარებლებს.

— დიანა, 50 ზომა ვგონებ დიდია, 48 მომეცი!

— ჩემო კარგო, მაჩვენეთ მწვანე წინდები?

— რა ღირს ის ჟაკეტი, ლურჯით გაწყობილი?

დიანა არ წყრება; დიანა ხურდაში არ ატყუებს მყიდველს; დიანას არ ეზარება, თუნდაც ასჯერ დააკმაყოფილოს მომხმარებლის ცნობისმოყვარეობა. აუღელვებლად, წყნარად, შეუცდომლად, ღიმილით ისტუმრებს ყველას.

და ეს ღიმილი უფასოა.

**ი. ჩოფიკაშვილი**



გამოანგარიშებულია, რომ მსოფლიოში ყოველ წამში 2 ბავშვი იბადება. მარტო 1964 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა 48 მილიონი კაცით გაიზარდა; აქედან სამი მილიონი ჩვენს ქვეყანაზე — საბჭოთა კავშირზე მოდის. სამი მილიონი ახალშობილი! რამდენიმე თვეში ისინი ბაგის ასაკის გახდებიან, ხოლო სამი წლის შემდეგ კი ბაღს ესტუმრებიან.

მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ზრუნავენ ბავშვებზე ისე, როგორც ჩვენთან. იმ გრანდიოზულ მშენებლობაში, რომელიც ახლა ჩვენს ქვეყანაშია გაჩაღებული, ბაგა-ბაღების მშენებლობას ერთერთი საპატიო ადგილი უკავია. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იმდენად დიდია დაბადების რიცხვი, რომ ჩვენი მშენებლები, სამწუხაროდ, საქმეს ვეღარ აუდიან, და იშვიათი როდია, როცა საბავშვო ბაღში მისაღებთა რიგში ჩამდგარი მოქალაქე ამ ლოდინში უკვე სკოლის ასაკისა ხდება. ამრიგად, იგი ვერასოდეს ვერ იგრძნობს ბავშვთა კოლექტივის იმ სასიამოვნო, მარადდასამახსოვრებელ ატმოსფეროს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საბავშვო ბაღშია.

საბავშვო ბაღს ბავშვზე უდიდესი აღმზრდელობითი, პედაგოგიური ზეგავლენა აქვს. სწორედ აქ, ბაღში იწყებს იგი თავის პირველ დამოუკიდებელ, გაუბედავ ნაბიჯებს, ელვიძება პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გრძნობა, ხდება კოლექტივის აქტიური წევრი, ცდილობს შეუგუოს ხასიათი თავის კოლექტივს, რის შედეგადაც უკვალოდ ქრება ეგოიზმის ის საწყისები, რომლებიც მარტოდ, დედისამარა გაზრდილ ბავშვებს აქვთ.

## მეტი მზრუნველობა ბავშვებს!

ყოველივე ამის გარდა, ძალზე მძიმე მდგომარეობაში ვარდება დედა, რომლის ბავშვიც საბავშვო ბაღში ვერ მოხვდა. ხშირ შემთხვევაში იგი იძულებულია სამსახურს თავი დაანებოს მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის, პატარა ვის დაუტოვოს.

ამ საკითხის ირგვლივ ბევრი ითქვა ჩვენს პრესაში, განსაკუთრებით ქალთა ჟურნალების ფურცლებზე. 1961 წელს ორიოლელმა ქალებმა მოწოდებით მიმართეს ყველა რესპუბლიკის ქალებს: შეექმნათ ქალთა საგუშაგოები, რომლებიც გამუდმებულ კონტროლს დააწესებდნენ ბაგა-ბაღების მშენებლობებზე.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში? — 1960 წელს ბაგა-ბაღების

მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 80.000 მანეთი, 1963 წლისათვის კი ეს თანხა ორ მილიონ ორასი ათას მანეთამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, 1963 წელს მარტო თბილისში საბავშვო ბაღში მიღებაზე უარი ეთქვა შვიდი ათასზე მეტ ბავშვს.

ამ ბავშვების წინაშე ბრალი მიუძღვით იმ მშენებლებსაც, რომლებმაც 1963 წელს გათვალისწინებული 29 საბავშვო ბაღის შენობიდან, თავიანთი დაუდევრობის გამო, არ დაამთავრეს 5 შენობა.

რა სურათი იყო 1964 წლის ბოლოსთვის? 1964 წელსაც 29 ბაღი იყო დაგეგმილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1963 წელს 7.000 ბავშვი დარჩა (მარტო თბილისში) ბაღის გარეთ, რაც თავისთავად ცოტა არ არის, ეს, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამრიგად, 1964 წელსაც იგივე სურათი განმეორდა. ისევ მრავალი ბავშვია სახლში მარტოდმარტო გამოკეტილი. ისევ მრავალი დედა—მუშა, პედაგოგი, ექიმი, თუ ინჟინერი ზის სახლში თავის საქმეს მონატრებული და ოცნებობს, იქნებ გაისად მაინც მოხვდეს მისი შვილი საბავშვო ბაღში.

როცა მშობელი ბაღში მისაღებად შვილის საბუთებს შეაგროვებს, პირველ რიგში სამსახურის ცნობაზე უნდა იზრუნოს; თუ დედა არ მსახურობს, ბავშვს ბაღში არ მიიღებენ. კი მაგრამ, როგორ იმსახუროს დედამ, ვიდრე ბავშვს ბაღში არ მიიყვანს. სამი წლის ბავშვის დატოვება ხომ ერთი საათითაც არ შეიძლება მარტო!!

საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაზრდის საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოები, სამინისტროები და უწყებები, ვერ ასრულებენ მთავრობის დადგენილებას წარმოების ფონდის და საცხოვრებელი ბინების ანგარიშში საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის შესახებ.

არ სრულდება აგრეთვე მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ გათვალისწინებულ იქნას საბავშვო დაწესებულებათა განლაგება მჭიდროდდასახლებულ ადგილებსა და დიდ კვარტალებში მრავალსართულიანი სახლების პირველ სართულზე. ამ ღონისძიებების გატარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ სახმშენმა ვერ უზრუნველჰყო საცხოვრებელი სახლების ტიპიურ პროექტებში საბავშვო დაწესებულებათა განლაგების პროექტის დამუშავება. ამ ღონისძიების განხორციელება კი დიდ დახმარებას გაუწევდა საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაზრდის საქმეს.

როგორც ვხედავთ, ბაგა-ბაღები საკმაო რაოდენობით არ შენდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რაც შენდება, იმის დამთავრებასაც საშველი არ ადგება.

ჩვენი რედაქციის მუშაკები და აქტივი 1964 წლის დეკემბრის ბოლოს ეწვია დაუმთავრებელი ბაღების მშენებლებს.

კრწანისის ტერიტორიაზე (კიროვის რაიონი) 1964 წელს სამკორპუსიანი საბავშვო ბაღი უნდა აშენებულიყო 1964 წლის 29 დეკემბრისათვის ბაღის შენობა მხოლოდ ნახევრად იყო დამთავრებული. ხელისშემშლელი პირობები მშენებლებს არ ჰქონდათ, თანხა დროზე ერიცხებოდათ, საშენი მასალა ჰქონდათ. მაშ, რაშია საქმე? — გულგრილობაში? სჩანს მშენებლები საქმეს პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ, არ იჩქარეს.

რა სურათი იქნებოდა, ამ ბაღის მომავალი ბინადარნი, რომ ერთად შეგროვილიყვნენ, პაწია მუშტები მოეღერებინათ და თავისი წკრიალა ხმით ერთად ეყვირათ: „არა გრცხვენიათ?!“ საინტერესოა, რა ხასიათზე დადგებოდნენ მაშინ ჩვენი მშენებლები?

ლენინის რაიონის მანქანათმშენებელთა დასახლების ტერიტორიაზე ლამაზი სამკორპუსიანი ბაღი აშენდა. აქაც დეკემბრის ბოლო რიცხვებში ვიყავით. მანქანა გადასახვევში ვეღარ ავიდა, ისეთი გაუვალი ტალახი იყო. ძლივს მივაღწიეთ შენობამდე, რომელიც გაშლილ ალაგას, მთის ძირშია აშენებული.

— რა ჰაერზე იქნებიან პატარები, — შენიშნა ერთმა ჩვენგანმა.

— კი, თუ აქამდე ამოაღწიეს, — შეეპასუხა მეორე:

სწორედ მაგის ბრალია, ბაღის მშენებლობა აქამდე რომ გაჭიანურდა, — სთქვა სამუშაოთა მწარმოებელმა. — ახლა კიდევ რა უჭირს, ტალახი ცოტა შეშრა. სამი დღის წინ. უნდა გენახათ, მანქანები ზევით სულ ვერ ამოდიოდნენ, მასალას ამოსახვევთან ყრიდნენ.

— რატომ დაიწყო ბაღის მშენებლობა გზის გაკეთებამდე? — ვკითხეთ კაპიტალური მშენებლობის უფროსს.

— გზა ჩვენ არ გვეხება, — გვიპასუხა მან დინჯად. — რა მოხდა, მარტო ერთი ბაღი დარჩა თბილისში დაუმთავრებელი. იცით, რამხელა მშენებლობა წარმოებს ახლა?!

— სწორედ რომ მოხდა. ერთი ბაღი თბილისში დარჩა დაუმთავრებელი, ერთი დუშეთში, ერთი ტყვარჩელში, ერთი ცხაკაიაში, ერთიც სურამში. ჯამში ბევრი გამოვიდა. ამ ბაღებში რამდენი ბავშვი გაშლიდა უზრუნველად ფრთებს?!

ეს საბავშვო ბაღი, რომლის მშენებლობას წლის ბოლოს ფაცა-ფუცით ამთავრებდნენ, ნორმალურ მუშაობას მანამდე მაინც ვერ შესძლებს, სანამ გზას არ გააკეთებენ. რა იქნებოდა დროზე ეფიქრათ ამ გზის გაკეთებაზე?!

როგორც გამოირკვა, საქართველოს არ ჰქონია საბავშვო ბაღის საკუთარი ტიპიური პროექტები. რატომ? ქართველი არქიტექტორები ხომ უკეთესად გაითვალისწინებდნენ ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებებს: კლიმატს, ადგილმდებარეობას და სხვა.

რედაქცია ხშირად იღებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მშობლების წერილებს. ამ წერილებით ისინი გულისტკივილს გამოხატავენ, რომ მათი შვილები ვერ მოხვდნენ ამა თუ იმ ბაღში. ზოგიერთი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბაღების ჯგუფები გადატვირთულია, თითოეულ ჯგუფში ნაცვლად 20-25 ბავშვისა, ალმზრდელს 40-45 ბავშვი აბარია.

შემოწმების შედეგად ეს ფაქტები დადასტურდა, უმეტესად ბაღები გადატვირთულია, არ არსებობს მუშაობის ნორმალური პირობები.

მიმდინარე წელს მშენებლობის გეგმა კიდევ უფრო გაიზარდა რესპუბლიკაში: თუ

ახალი საბავშვო ბაღი ორჯონიკიძის რაიონში.





აი, როგორ გაძოიყურებოდა რეიდის დღისათვის საბავშვო ბაღის შენობა კრწანისის ტერიტორიაზე.

გასულ წელს ბაგა-ბაღების მშენებლობისათვის დაშვებული იყო ორი მილიონ ორასიათასი მანეთი, მიმდინარე წელს ეს თანხა სამი მილიონ ორასი ათას მანეთამდე გაიზარდა. მშენებლებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ დროულად აითვისონ თანხა და ვადაზე ადრე ჩააბარონ საექსპლოატაციოდ საბავშვო დაწესებულებები, რომ ჩვენმა პატარებმა გაიხარონ, რომ მათ დედებს საშუალება ჰქონდეთ გულდამშვიდებით ჩაებან შრომის ფერხულში და თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

რეიდის მონაწილენი: მ. თომაძე,
ვ. სოგოლევა,
თ. ავალიანი,
ო. რევია,
ნ. ცაგარეიშვილი.

# ჩვენი მეზობელი ქალები

**ხილვა კაპუტიკიანი**

* * *

თუ არ მიყვარხარ, ძვირფასო ჩემო,—
რატომ ზაფხულობს ასე ზამთარი,
ზამთრის მზე ასე მწველი რად არი,
ან ეს ლურჯი ცა, ბროლის სადარი,—
თუ არ მიყვარხარ, ძვირფასო ჩემო!

თუ არ გიყვარვარ, ძვირფასო ჩემო,—
თქვენს ქუჩაზე რომ დავიარები,—
გზას რად მითმობენ კრძალვით ქალები,
სახლები, თოვლი და ჩინარები,—
თუ არ გიყვარვარ, ძვირფასო ჩემო!

და თუ არ გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი,
რატომ გაუდის ცისკარს ციალი,
დღე-ღამეც რატომ ლამაზი არი
და ხალხიც მშვიდი, თავაზიანი,
თუკი არ გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი?

თარგმნა **ზეზვა მედულაშვილმა**

**ჰრანუშ მირზოიანი**

## ერთად დავძახოთ „მრავალ-ჟამიერ!"

აავსე ჭიქა, ძმაო ქართველო,
ჩქეფდეს, ვით ზანგუ, ღვინო კახური,
ვუმღეროთ სომხეთს და საქართველოს
ჩვენი საზით და თქვენი ჩონგურით.

ვთქვათ სიმღერები მრავალნაირი,
ჩვენი უებრო ძმობის საქმები,
არ დაგზარდებათ ჩემი შაირი,
რომ თავის მოძმეს გიძღვნას ჰანგები.

ასე ხელიხელ გადაჭდობილი,
ვიდგეთ და ძმობის სიტკბო მოგროვდეს.
ქართველ-სომეხნი, როგორც ძმობილნი,
ვცხოვრობდეთ ერთად და ვმეგობრობდეთ.

ვიმღეროთ ერთად, ძმაო ქართველო,
კვლავ მეგობრობა გვწამდეს ამიერ,
ქართლოს-ჰაოსის ტკბილ ცას და მიწას
მრავალ-ჟამიერ, მრავალ-ჟამიერ!

თარგმნა **სტეფანე მხარგრძელმა**

**მარო მარქარიანი**

## თამაში

შენ მესვრი, მე კი ვეცემი, ვითარც
ფოთოლი ხმელი, ფერმკრთალი ნისლებრ...
იცინი, ყვირი, დახტიხარ მშვიდად
და თოფს ხარხარით მიმიზნებ ისევ.

მე ვკვდები... ხელით მიჭირავს გული
და ტკივილებით მიკვნესის ბაგე,
მუყაოს ნაღმი ამოგაქვს უბით
და ბალახებში გვამივით მაგდებ.

რა ადვილია დღეს ჩემი მოკვლა,
რა ადვილია დაიწყო ომი...
და ჩვენ სიცილის სიკვდილით ვბორგავთ,
ყვავილებსა და ბალახებს შორის.

მაგრამ ჩვენ ვწუხვლით იარაღს ნამდვილს
და სამშვიდობო ბილიკებს ვჩარხავთ,
რომ დღეგრძელობდეს ლურჯი ცის მადლი,
რომ არასოდეს იომოს ხალხმა.

რომ წინ ვიღწვოდეთ გმირული შრომით,
დღე იყოს ქვეყნად ყველა დღის ბოლო,
კითხვაზე «რაა ნეტავი ომი?»
გვეთქვას: «ბავშვების თამაში მხოლოდ!»

* * *

სული ჩემი ღრუბელივით თეთრი
და ფიქრები მოქცეულნი წვიმად,
ჩხრიალებენ, რადგან გული ელტვის
მშობელ მიწის სინაზეს და ბრწყინვას.

სადაც ჩემი წინაპრები თვლემენ,
სადაც სულზე უტკბესია მიწა,
მეც იქ ვტირი, როგორც ჩვენი ღელე,
მეც იების ფეროვნებას ვიცავ.

თბილ საფლავებს სიყვარულით ვუმზერ,
თმებზე მათოვს ყვავილების მტვერი,
დედაჩემის ულამაზეს გულზე
როგორ უნდა აბიჯებდეს მტერი?!

თარგმნა **მორის ფოცხიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსი ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მიქრის. ჩემს გვერდით ახალგაზრდა ქალი ზის. სიხარული და კმაყოფილება აწერია სახეზე. თითქოს ღელავს კიდეც.

— ხომ არ გასცდით თქვენს გაჩერებას? — გამოველაპარაკე ჩემს მეზობელს.

— არა, საექიმო-კოსმეტიკურ სამკურნალოსთან ჩავდივარ, ის შენობა არ გამომეპარება, — ღიმილით მიპასუხა ქალმა.

ცნობისმოყვარეობამ მეც მძლია და გადავწყვიტე გავცნობოდი ამ დაწესებულებას.

ავტობუსიდან ახალგაზრდა ქალთან ერთად ჩავედი.

— თელავიდან დავდივარ სამკურნალოდ, — გამანდო თავისი სიხარული ჩემმა ახლადგაცნობილმა. — ბედნიერი ვარ, ძველი ნაცნობები ვეღარ მცნობენ. ადრე სახლიდან გარეთ გამოსვლას ვერიდებოდი, ,,ქალა-ბიჭას" მეძახდნენ, ისე მქონდა სახეზე ,,წვერ-ულვაში". ახლა ხომ ხედავთ რა სუფთა სახე მაქვს. ჩემი სიხარული ყველას მინდა გავუზიარო. ეს მკურნალობის სამი სეანსის ჩატარების შედეგია.

ქუჩა გადავჭერით და ნათელ, ცოცხალი ყვავილებით მორთულ ვესტიბულში შევედით.

მოსაცდელ დარბაზში ხალხმრავლობაა. ყველა ასაკის ქალი და მამაკაცი ირევა აქ. ჩემს ახალ ნაცნობს ეჩქარება, მზერით მეთხოვება. მე გულდასმით ვეცნობი ყველაფერს...

საექიმო-კოსმეტიკური სამკურნალო, ასე ეწოდება ამ დაწესებულებას, რომელიც ახლახან გაიხსნა თბილისში. ახალი სამკურნალო ადამიანთა ჯანმრთელობას, მათ გარეგნულ სიმშვენიერეს ემსახურება.

საექიმო-კოსმეტიკურ სამკურნალოში სამი განყოფილებაა: სამკურნალო-კოსმეტიკური, ფიზიოთერაპიული და ქირურგიული.

სამკურნალო-კოსმეტიკურ განყოფილებას განაგებს თამარ დუდუჩავა-რომანკო. აქ წარმოებს სახის კანის და თმის მოვლა. თმის ცვენის, ფერისმჭამელების, ცხიმოვანი და მშრალი, ფორიანი და მოდუნებული კანის საწინააღმდეგოდ, ნაადრევი ნაოჭების პროფილაქტიკისათვის, ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად ავადმყოფებს უტარდებათ სხვადასხვა კოსმეტიკური პროცედურები, სახის გაწმენდა, მასაჟი (კოსმეტიკური და სამკურნალო), ნიღბები (მკვებავი, თაფლის, სპერმაცეტის, კალენდულასი და სხვა). ამავე განყოფილებაში წარმოებს პაციენტთა პირველადი მიღება. გამოცდილი ექიმი-კოსმეტოლოგები ავადმყოფებს დანიშნულების მიხედვით აგზავნიან სხვადასხვა კაბინეტებში.

ფიზიო-თერაპიულ განყოფილებაში იმ დროს მოვხვდი, როცა დერმატოლოგი თამარ კაკაბაძე ავადმყოფს რჩევა-დარიგებას აძლევდა.

პაციენტს სახეზე სისხლძარღვოვანი ლაქა აქვს, ეს კი შნოსა და იერს უკარგავს მის გარეგნობას. ავადმყოფი წუხს, ნერვიულობს, ნუთუ არ შეიძლება მისი მოშორება?!

ექიმი ამშვიდებს, არწმუნებს მას, რომ სწორედ აქ შეიძლება ასეთი ლაქების მკურნალობა, თუ ავადმყოფი სათანადოდ შეასრულებს ექიმის დანიშნულებას.



თინა ხანაძე



ლილი ცისკარიშვილი



თამარ კაკაბაძე



ელექტრო-კოაგულატორით წარმოებს კანზე კეთილთვისებიანი წარმონაქმნების, მეჭეჭების, თანდაყოლილი სისხლძარღვოვანი ლაქების (ტყლიპი), პაპილომების, ქსანტომების (თვალის ქუთუთოზე ან სხეულის რომელიმე ნაწილზე ყვითელ-ლაქოვანი მარცვლები), ანგიომის, სვირინგის (ტატუირება) მკურნალობა.

ამავე განყოფილების ეპილაციის კაბინეტში სპეციალური აპარატით ხდება ჭარბთმიანობის რადიკალური მოცილება. ავადმყოფებს უტარდებათ მკურნალობის რამდენიმე სეანსი. აქვე ხდება ნაწიბურებისა და ნაყვავილარი კანის მკურნალობა.

ქირურგიულ კაბინეტთან ავადმყოფები ფერმკ-

რთალი, დაძაბული სახეებით ელოდებიან გამოძახებას. ოპერაცია დამთავრდა. ცხვირის ოპერაცია ჩაატარა ექიმმა ოტოლარინგოლოგმა ვ. ხურციძემ, რომელიც საექიმო-კოსმეტიკურ სამკურნალოში ქირურგად არის მიწვეული. ექთანმა ახლა სხვა ავადმყოფი გამოიძახა...

სამკურნალოს გახსნიდან დღემდე ჩატარებულია ცხვირის 48 ოპერაცია და ყველა სასურველი შედეგით. აქვე წარმოებს სახის თანდაყოლილი ან ტრამვის შედეგად შეძენილი დეფექტების გასწორება, სახის ნაოჭების გადაჭიმვა, ცხვირისა და ყურის ფორმის შეცვლა, კურდღლის ტუჩის გასწორება და სხვა.

ქირურგიული განყოფილების გამგე ამალია პჩოლკინა ამბობს: მამაკაცების უმრავლესობა დაავადებულია მშრალი ან ცხიმოვანი სებორეით, უჩივიან თმის ცვენას. ადრე კონსერვატული მკურნალობა ეფექტურ შედეგს არ იძლეოდა. ახლა კი, ე. წ. მამონტოვის ახალი მეთოდით ხდება აპონევროზის ამოკვეთა, ამან კი სასურველი შედეგი მოგვცა — ავადმყოფი 80 პროცენტით ინარჩუნებს თმას და ჩერდება ცვენა.

მომავალში საექიმო-კოსმეტიკური სამკურნალო უფრო ფართოდ გაშლის თავის მუშაობას. ქირურგიულ განყოფილებას ექნება სტაციონარი, გაკეთდება ურთულესი პლასტიკურ-ქირურგიული ოპერაციები.

საექიმო-კოსმეტიკურ სამკურნალოს ემსახურება მაღალკვალიფიციური ექიმი-კოსმეტოლოგები, რომელთაც კვალიფიკაცია მიღებული აქვთ მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, დერმატოლოგ-კოსმეტოლოგთა ციკლზე. დერმატოლოგიაში კონსულტანტად მიწვეულია კანისა და ვენერიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი პ. მგალობლიშვილი.

თბილისის საექიმო-კოსმეტიკური სამკურნალო მართალია ახლადგახსნილია, მაგრამ იგი უკვე 12 ათასზე მეტ ავადმყოფს ითვლის. სამკურნალო ყოველდღიურად დაახლოებით 80 ავადმყოფს ატარებს.

ახლა სამკურნალო გადავიდა ორცვლიან სამუშაო დღეზე, უფრო ხელმისაწვდომი რომ გახდეს დედაქალაქისა და რაიონებიდან ჩამოსული ავადმყოფებისათვის. შორეულ რაიონებში მცხოვრებნი წერილობით კავშირს ამყარებენ სამკურნალოსთან, აგზავნიან შეკითხვებს, თხოულობენ რჩევა-დარიგებას, შველას.

სამკურნალოს პერსონალი დიდი ყურადღებით ეხმაურება ყველა წერილსა და შეკითხვას, ამის დამადასტურებელია მადლობისა და კმაყოფილების ის ბარათები, რომლებიც აქ მოდის.

დოდო როინიშვილი

# ვაჟიშვილებთ საუბარი სიყვარულზე, ოჯახზე, მოვალეობაზე...

## ისევ მშობლების შესახებ

წინა საუბარში აღძრული საკითხებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შვილებსა და მშობლებს შორის წინააღმდეგობის პრობლემა, რადგან ამ საკითხმა უამრავი გამოხმაურება გამოიწვია. გამოხმაურებათა ასეთი სიმრავლის გამო კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

ეჭვი არაა, რომ ყოველ წესიერ მშობელს შვილის კეთილდღეობის ინტერესები ამოძრავებს და მის ბედნიერებაზე ფიქრობს. მაგრამ იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა მშობლები თავიანთი ჩამორჩენილობისა და შეუგნებლობის გამო ხელს უშლიან შვილების ბედნიერებას. სწორედ ამის შესახებ გვწერენ მკითხველები.

აი, ერთი ამ წერილთაგანი:

„პატივცემულო რედაქცია! ჩვენ, ახალგაზრდებს გვჯერა, რომ ცხოვრებაში ძირითადია სიყვარული. აბა, უსიყვარულოდ რა აზრი ექნება ცხოვრებას? ორი წელია გვიყვარს ერთმანეთი. არ გვეგონა, თუ ჩვენს სიყვარულს რაიმე ან ვინმე ხელს შეუშლიდა. მაგრამ, როგორც კი მშობლებმა გაიგეს ჩვენი სიყვარულის შესახებ, წააწყდით სამინელ წინააღმდეგობას. ჩემი მშობლები უმაღლესი განათლებით არიან, იმისი კი არა. ჩემს მშობლებს ისინი თავის შესაფერისად არ მიაჩნიათ. როცა მათ ჩემი მშობლების აზრი გაიგეს, დაიცინეს: იმ ოჯახს ჩვენ ქალს არ გავატანთ, ჩვენი შვილი იმათ ხელში უბედური იქნებაო. მშობლები ჩვენს სიყვარულს ყურადღებას არ აქცევენ, ჩვენ კი ურთმანეთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ, დავუჯეროთ თუ არა მშობლებს?"

ცუდია, როცა შვილები არ უჯერებენ მშობლებს, მაგრამ უარესია, როცა მშობლები ცუდი ზნეობის მაგალითს აძლევენ შვილებს. იამაყო იმით, რომ უმაღლესი განათლება გაქვს — ვერაფერი ვაჟკაცობაა, ხოლო ამ უსაფუძვლო სიამაყით გადაელობო შვილის ბედნიერებას — დანაშაულია. მთავარია, თვითონ ქალ-ვაჟი იყოს ერთმანეთის შესაფერი და უყვარდეთ ერთმანეთი. რაც შეეხება მშობლების მოჩვენებითს შეუფერებლობას, იგი არ შეიძლება არ გაქრეს მათი შვილების დაქორწინებიდან 2-3 თვის განმავლობაში (თუ, რა თქმა უნდა, ამ „შეუფერებლობის" გამო მშობლებმა არ მოასწრეს ერთმანეთის შეურაცხყოფა).

ჯანსაღ და სპეტაკ სიყვარულს ყოველმხრივ უნდა ვუწყობდეთ ხელს, შეგნებულად ვალვივებდეთ და ვანვითარებდეთ, რომ გაუძლოს დაბრკოლებებს, ჟამთა სვლას, ადამიანთა გემოვნებისა და შეხედულებების ცვლილებებს.

შვილებმა ყოველთვის უნდა დაუჯერონ მშობლებს, თუ კი ისინი საყურადღებო მოტივებს წამოაყენებენ ამა თუ იმ არჩევანისა და ქორწინების წინააღმდეგ. მაგრამ სასაცილოა ასეთ მოტივად გამოაცხადო სასიძოს ან სარძლოს მშობლების განათლების დაბალი დონე.

განათლების დონის გარდა, მშობლების წინააღმდეგობის მოტივად ხშირად ვხვდებით ქონებრივი ცენზის ფაქტორებს. ამ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება ერთი ბათუმელი ქალიშვილის წერილში:

„მე ეკონომიურად შედარებით უფრო შეძლებული ოჯახიდან ვარ, ვიდრე ის. მართალია, ეს მეშჩანური შეხედულებაა და მე არ ვიზიარებ ამ აზრს, მაგრამ დედაჩემი (მამამ არაფერი არ იცის) უარზეა, და ვიცი, რომ უმალ დამმარხავს, ვიდრე იმას გამატანს. მე კი არ შემიძლია ჩემი მშობლების ნებას წინ აღვუდგე. ჩემმა მეგობარმა იცის დედაჩემის ასეთი შეხედულება ჩვენი ურთიერთობის შესახებ, გრძნობს, რომ უძლურია ამ წინააღმდეგობის გადალახვაში და ჯერჯერობით გამოუვალ მდგომარეობაშია".

ამავე ქალიშვილის წერილიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა თვითკრიტიკულმა აღიარებამ:

„უნდა ვაღიარო, ჩემი ერთი ნაკლოვანება ისიცაა, რომ მაქვს მიდრეკილება სიმდიდრისადმი, ფუფუნებისადმი. ეს ცუდია. ამხანაგებიც მეუბნებიან ამას, მაგრამ რა ვქნა, არ ვიცი. ზოგნი იმასაც მეუბნებიან, რომ თუ ერთმანეთი გვიყვარება, შეიძლება კარგი ოჯახი და მატერიალური დოვლათი შევქმნათ. თქვენ როგორ ფიქრობთ, მეყოფა ნებისყოფა? გთხოვთ, მირჩიოთ რამე და გამარკვიოთ ჩემს გრძნობებში: ნამდვილი სიყვარულია ეს თუ გატაცება?!"

როგორც ვხედავთ, ეს ქალიშვილი ორმაგი სიძნელის წინაშე დგას. მან ჯერ საკუთარი მერყეობა უნდა დასძლიოს, შემდეგ კი დედის წინააღმდეგობა.

როცა ადამიანი კარგად ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში, ეს იმის ნიშანია, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა სიყვარულამდე. ამ საკითხს დრო გამოარკვევს, მანამდე კი ზედმეტია ქორწინებაზე ფიქრი. რაც შეეხება შინაგან მერყეობას — შეეგუება თუ ვერა ფუფუნებაში გაზრდილი ქალიშვილი ხელმოკლე ცხოვრებას —ეს ბევრ რაიმეზეა დამოკიდებული. მთავარი ისაა, როგორი ძალისა და სიღრმის იქნება სიყვარული. როცა ქორწინების საფუძველი მხოლოდ გატაცებაა, ეს უკანასკნელი ძალიან მალე ქრება. ასეთ შემთხვევაში გულაცრუებულ მეუღლეს შეუძლებელია აღმოაჩნდეს ნებისყოფა, აიტანოს გაჭირვებული ცხოვრება. სიმდიდრის პირობებშიც კი ვერ გასძლებს ასეთი ოჯახი.

დასასრული 21-22-ე გვ.



ამ წერილის ავტორი ქართველი ინჟინერ-მექანიკოსია. იგი 1963 წლის ზაფხულში მივლინებულ იქნა გვინეის რესპუბლიკაში (დასავლეთ აფრიკა) ტექნოლოგიური დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ხელმძღვანელად ხე-ტყის დამუშავების ქარხანაში, რომელსაც საბჭოთა სპეციალისტები უშენებენ გვინეის რესპუბლიკას.

# გვინეელი ქალები

ქალები რომ არა, სახელწოდება „გვინეა" არ იარსებებდა. ერთმა ფრიად განათლებულმა გვინეელმა ამხანაგმა ბევრი საინტერესო მიამბო თავისი რესპუბლიკის შესახებ. მისგანვე შევიტყვე სიტყვა „გვინეას" წარმოშობის ისტორია.

XIV საუკუნის დასაწყისში პორტუგალიელმა მეზღვაურებმა პირველად შედგეს ფეხი ახლანდელი გვინეის სანაპიროზე. პირველი სიტყვა, რომელიც მათ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გაიგონეს, ეს იყო „გინეე". როგორც წესი, მუადღით თითქმის ყველა გვინეელ მამაკაცს სძინავს ქოხში, ხოლო გარეთ ქალები რჩებიან თავიანთი ოჯახური სამუშაოების შესასრულებლად. ალბათ, ამ დროს მიადგნენ თეთრკანიანი მეზღვაურები მათ ნაპირს და ვინაიდან ქალებმა არ იცოდნენ მოსულთა განზრახვა, მათგან თავის დასაცავად თავიანთი უსუსურობის აღიარება არჩიეს. საქმე ისაა, რომ „გინეე" სუსუს ენაზე ნიშნავს „ჩვენ ქალები ვართ". როგორც ჩემი გვინეელი თანამოსაუბრე განმარტავდა, ამ შემთხვევისაგან წარმოიშვა რესპუბლიკის სახელწოდებაც.

გვინეაში ჩემი ყურადღება მიიპყრო გვინეელთა, და კერძოდ, ქალების თავისებურმა ჩაცმულობამ. გვინეელ ქალებს ძალიან უყვართ კაშკაშა ფერები, ნაირფრად აჭრელებული ტანსაცმელი და თავსაკრავები. ძალიან უყვართ, აგრეთვე, საყურეების, სამაჯურების, ბეჭდებისა და მძივების ტარება. პატარა გოგონადან დაწყებული ამ სამკაულებს ყველა ქალი ატარებს. უბრალო ყვითელი ლითონის, მაგრამ საგულდაგულოდ გაწმენდილი და გაკრიალებული ეს სამკაულები მართლაც და ძალიან შვენის მათ.

გვინეელი ქალების ჩაცმულობა სადაა. ფეხებზე აცვიათ უბრალო ქოშები, სამკაულებით გაწყობილი. ქვედაწელს უბრალო ხარისხის, კაშკაშა ფერებით აჭრელებული ფარჩის ნაჭრისაგან იკერავენ და წელსქვემოთ ორმაგად ან სამმაგად მჭიდროდ იხვევენ. მისი ბოლო არავითარი ქინძისთავით ან ღილით არ მაგრდება და ჩატანებულია წელთან. წელსზემოთ მათ ვიწრო და მოხდილი ზედაწელი აცვიათ, ისე რომ მკლავები და ზურგი მთლიანად შიშველი აქვთ. გვინეელი ქალები მოკლე თმას ატარებენ, რომელსაც საგულდაგულოდ იწნავენ პატარა ნაწნავებად. თავდაუხურავ ქალს რომ შეხედოთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თავზე ზღარბის ეკლები ამოსვლიათ. ამ ნაკლს ქალები მალავენ ლამაზი ფერის თავსაკრავით, რომელსაც ჩალმის მსგავსად



ატარებენ დიდი გემოვნებით და მოხდენილად. უნდა აღინიშნოს, რომ თმის დაწნა ძალზე დიდ დროსართმევს მათ. ხშირად შეხვდებით სახლის კარიბჭესთან მჯდომ გვინეელ ქალებს, რომლებიც საათობით უწნიან ერთმანეთს თმას. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველას არ შეუძლია ამ პროცედურის ჩატარება და ისინი, რომლებიც უკვე დახელოვნებული არიან ამ დარგში, თავის ოსტატობას შემოსავლის წყაროდაც იყენებენ.

გვინეელი ქალები არაჩვეულებრივად მოხდენილი აღნაგობის არიან—წელში ოდნავ შეზნექილნი, სწორი ლამაზი ფეხებით, ლამაზად მოღერებული ყელითა და ძალზე ლამაზი მოყვანილობის ზურგით. მათ შორის იშვიათად შეხვდებით უშნო აგებულებისას ან და ზედმეტად მსუქანს. ეს ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ ისინი ბავშვობიდანვე ფიზიკურ შრომაში არიან ჩაბმულნი.



შეუძლებელია ყურადღება არ მიიპყროს გვინეელი ქალის ცეკვისმაგვარმა სიარულმა. ეს იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის და ყველგან ცეკვავენ. ცეკვისა და მუსიკის გარეშე მათ თავიანთი ყოფა ვერ წარმოუდგენიათ.

გვინეელმა ქალმა არ იცის, რას ნიშნავს დასვენება. იგი შრომობს დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდე, შრომობს სახლში, შრომობს ტყეში, შრომობს მინდორში. დილით ადრე, მოლას ყვირილზე იწყებს შორი მანძილიდან, მდინარიდან ან რომელიმე წყალსაცავიდან წყლის ზიდვას, რეცხავს ჭურჭელს, რეცხავს სარეცხს, ამზადებს კერძს ქმრისათვის, მიდის ტყეში, ჭრის შეშას, მოაქვს იგი თავზე დადებული, მიდის მინდორში ან ჯუნგლებში და კრეფს ველურ ნაყოფებს: ბანანს, ქოქოსის კაკალს, ციტრუსებს და სხვა, მიაქვს ბაზარში, ყიდის, ბრუნდება სახლში, ნაყავს ბრინჯს, ისევ ამზადებს კერძს, ისევ რეცხავს და ასე, გვიან ღამემდე.

გვინეელი ქალები, ისევე როგორც მამაკაცები, ყოველგვარ ტვირთს თავით ეზიდებიან. ისინი არასოდეს ხმარობენ ხელჩანთებს და კალათებს. ზოგჯერ წარმოუდგენელი გეჩვენებათ, თუ როგორ მოაქვთ უზარმაზარი შეკვრა შეშა თავით და ხელსაც კი არ აშველებენ. ტვირთის ასეთ ტარებას ისინი 5 წლის ასაკიდან ეჩვევიან. საერთოდ, გვინეელი გოგონები პატარაობიდანვე ბაძავენ დედებს შრომაში და ასრულებენ ისეთსავე სამუშაოს, რასაც მათი დედები.

გვინეელი ქალები სისუფთავის მოყვარულნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ საამისო პირობები არ გააჩნიათ.

გვინეელი ქალები თავიანთ ბავშვებს ხელით არასოდეს არ ატარებენ. როგორც წესი, მათ ისინი ყოველთვის მიკრული ჰყავთ ზურგზე. ბავშვებაკრულნი დადიან ისინი ტყეში, პლანტაციებში, ბავშვებაკრულნი მუშაობენ სახლშიც გვიან ღამემდე. სახლში დაძინებულ ბავშვს დედები არასოდეს არ სტოვებენ. ზურგზეაკრული ბავშვები თავისთავად იძინებენ და იღვიძებენ. მხოლოდ ხანდახან მოიხსნიან დედები მათ, რომ ძუძუ მოაწოვონ.

ქალებისათვის ყველაზე ძნელი სამუშაო ოჯახში კუსკუსის (ბრინჯის მაგვარი მარცვალია) ნაყვაა. საქმე იმაშია, რომ გვინეაში წისქვილები თითქმის არ არსებობს და მარცვლოვანთა დაფქვის მაგივრად მათ ნაყვას აწარმოებენ.

სიბრალულის გრძნობა გიპყრობთ, როცა ხედავთ, თუ როგორ ნაყავენ ქალები და პატარა გოგონები სახლის წინ ვეებერთელა ხის სპეციალურ სანაყში ჩაყრილ მარცვლებს ორმეტრიანი ჯოხებით. ამ დროს, როგორც წესი, ქალები წელსზევით სავსებით შიშვლდებიან. მათ ოფლი წურწურით ჩამოსდით, მაგრამ სხვა გამოსავალი არა აქვთ. საერთოდ, მამაკაცების შრომა ქალთა შრომაზე 10-ჯერ უფრო იოლია. ისინი ძირითადად წვრილ ვაჭრობას ეწევიან ცოლების მიერ მოტანილი ხილით და რგავენ ძირითად საკვებ პროდუქტს მანიოკას (მანიოკას ნაყოფი ჭარხლის ფორმის ფესვია. იგი გემოთი ძალიან წააგავს კარტოფილს, იმ განსხვავებით, რომ მოტკბო გემოსია, ძალიან ნოყიერია და მისი მოყვანა დიდ შრომას არ მოითხოვს).

სხვა რაიონებთან შედარებით ყველაზე სავალალო მდგომარეობაში გვინეის ტყიანი რაიონის მაცხოვრებელი ტომის — გერზეს ქალები იმყოფებიან. ისინი თითქმის ველურ მდგომარეობაში არიან დარჩენილნი. გერზეს ტომში მამაკაცები არ მუშაობენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალზე გაჭირვებულად ცხოვრობენ. მთელი ტვირთი ოჯახში ქალებს აწევთ.

გერზეს ტომის ბევრ სოფელში ქალებს წელსქვემო ნაწილი სხეულისა ოდნავ აქვთ დაფარული. დანარჩენი ნაწილი კი თითქმის მთლიანად შიშველი აქვთ. საერთოდ, ამ რაიონში მცხოვრებთა უმეტესობას ძალზე ეშინია თეთრკანიანების და მათი დანახვისას კივილით გარბიან.

გვინეელი ქალიშვილები შედარებით უდარდელად 12 წლის ასაკამდე გრძნობენ თავს. შემდეგ კი ისინი, ადგილობრივი რელიგიური წესის მიხედვით, გასათხოვრად ითვლებიან.

ქორწინების წესის თანახმად, ქალიშვილის მშობლები ქალიშვილის გათხოვებისას განსაზღვრულ საზღაურს იღებენ.

გვინეელი მამაკაცი, ახალგაზრდა იქნება ის თუ მოხუცი, აგზავნის ქალიშვილის მშობლებთან თავის ამხანაგს ან ახლობელს. მაშვალს თან მიაქვს შვიდი კაკალი — კოლა (კოლა ნაყოფია, რომლისგანაც გამაგრილებელი სასმელი „კოკა-კოლა" მზადდება). თუ ქალიშვილის მშობელმა მიიღო მაშვლისაგან კოლას კაკლები, ეს იმას ნიშნავს, რომ ქორწინებაზე მოლაპარაკების დაწყება შეიძლება. მშობელი ამ შემთხვევაში მაშვლის მეშვეობით უნიშნავს სასიძოს ადგილსა და დროს მოლაპარაკების საწარმოებლად. თუ ქალიშვილის მშობელმა კოლას კაკლები არ მიიღო, ეს ნიშნავს, რომ იგი ქალიშვილის მითხოვების წინააღმდეგია.

თანხმობის შემთხვევაში დანიშნულ ადგილას და დანიშნულ დროს საქმრო და სასიმამრო თავიანთ ახლობლებთან ერთად იკრიბებიან და იწყებენ მოლაპარაკება-ვაჭრობას იმ თანხის ოდენობაზე, რომელიც საქმრომ უნდა გადაუხადოს ქალიშვილის მშობლებს. მოლაპარაკებისას ინიშნება ქორწინების დრო. ქორწინებაზე იკრიბებიან ნათესავები, ნაცნობები, მეზობლები ქალის მხრიდან და ცეკვითა და მუსიკით მიაცილებენ მას საქმროსთან. საქმროც თავის მხრივ ღრეობით ხვდება საცოლეს.

ქორწინების ღამიდან ცოლი შვიდი დღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში იმყოფება ქმრის სახლში. მას არა აქვს გარეთ გამოხედვის უფლება. ამ პერიოდში სისტემატურად მოდიან სახლთან ქალის ნათესავები, მოაქვთ ძღვენი, მაგრამ მისი გადაცემა ქალისათვის უშუალოდ არ შეუძლიათ, ისევე, როგორც მისი ნახვა. ძღვენს ქმარი იღებს და შემდეგ თვითონ შეაქვს სახლში ცოლთან.

გვინეაში მოსახლეობის 80-85 პროცენტი ისლამის თაყვანისმცემელია და ამიტომ იქ გავრცელებულია პოლიგამია—მრავალცოლიანობა. თითოეულ მამაკაცს ძალიან ხშირად 6 და 7 ცოლი ჰყავს. მათ შორის არიან ფულით ნაქირავები ცოლებიც კი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სახელმწიფო წყობა გვინეაში ყოველმხრივ ცდილობს აღმოფხვრას ეს ტრადიციები.

საერთოდ, ერთი მამაკაცის ცოლები ერთმანეთთან ძალიან შეგუებულნი არიან — ერთად სეირნობენ, ერთად ზრდიან შვილებს, ერთად შრომობენ, ერთად სადილობენ. ძალიან იშვიათად თუ შეხვდებით ისეთებს, რომლებსაც ერთმანეთს შორის რაიმე უსიამოვნება ჰქონდეთ.

თუ ქმარი შეძლებულია, მას მთელი ოჯახი ერთ დიდ სახლში ჰყავს, ხოლო ვინც შეძლებული არ არის, მისი ცოლები ცალცალკე, თვითნაკეთებ პატარა მრგვალ ქოხებში ცხოვრობენ, ქმარი კი მათ ხანგამოშვებით ესტუმრება ხოლმე.

მოღალატე ცოლის საკითხი გვინეაში ქმრის სურვილის მიხედვით სამგვარი წესით შეიძლება გადაწყდეს:

ან ქმარი მოიწვევს ახლობელთა კრებას, დაადგენენ თანხას, რომელიც ვალდებულია გადაუხადოს ცოლმა ქმარს, რის შემდეგაც ცოლი ისევ ცოლად რჩება. ან კრება დაადგენს თანხას, რომელიც ცოლმა უნდა გადაუხადოს ქმარს, შემდეგ კი დასცილდეს მას. ან ქმარი პირისპირ მოელაპარაკება ცოლს (ყოველგვარი მოწმის გარეშე) თანსაზღვრული თანხით დაჯარიმებაზე, რის შემდეგ ცოლი ისევ ცოლად რჩება.

ამჟამად გვინეის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობაში მავნე და დრომოჭმული ტრადიციების აღმოფხვრას, ებრძვის პოლიგამიას, ცოლით ვაჭრობასა და სხვ. ქალები, უმეტესად ქალაქში მაცხოვრებლები, თვითონაც იბრძვიან უკეთესი ცხოვრებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა ქალების სწავლებას, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას, განათლებას. გვინეის დემოკრატიული პარტიის ერთერთი ამოცანაა კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

გვინეაში მრავალი ქალია სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თანამდებობაზე. ასე მაგალითად, დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრი და ამასთანავე სოციალური უზრუნველყოფის მინისტრია ლოფო კამარა, პოლიტბიუროს წევრია ბანგურა მაფორი.

გვინეის დემოკრატიული პარტიის პირველად ორგანიზაციებში 3 ქალის წევრობა აუცილებელია. გვინეაში კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შემდეგ ჩამოყალიბებულია „გვინეის ქალთა კავშირი", რომლის ერთერთი მიზანია გვინეელ ქალთა საბოლოო განთავისუფლება ფეოდალიზმის და რელიგიის გადმონაშთებისაგან.

ოთარ ჩიხლაძე

სულ სხვაა სიყვარული, ძლიერი და ღრმა გრძნობა, როცა ადამიანი მზადაა ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს თავისი საყვარელი ადამიანისათვის. მას არ გაუძნელდება დასთმოს მეშჩანური გარეგნული კეთილდღეობა, მშობლების ხარჯზე პარაზიტული ცხოვრება და საკუთარი შრომით იარსებოს.

კარგია, რომ ეს ქალიშვილი თვითონვე გრძნობს თავის ნაკლს — გატაცებას სიმდიდრითა და ფუფუნებით. ეს მაგალითი კარგი გაკვეთილია იმ მშობლებისათვის, რომლებიც თავიანთი შეუგნებლობით, ბავშვების ყოველი სურვილისა და ჟინის ბრმა შესრულებით ამახინჯებენ მათს ხასიათსა და ზნეობას. საზოგადოებრივი აზრი ერთხმად გმობს ფუფუნების მიჩნევას ცხოვრების ძირითად მიზნად. როგორც ვნახეთ, ფუფუნებაში გაზრდილი ზოგიერთი შვილებიც კი ხვდებიან ამას და მადლობის მაგიერ საყვედურით იხსენიებენ ასეთ მშობლებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ მცირე სასჯელია იმ მშობლებისათვის, რომლებიც უკანონოდ იძენენ და უგნურად ფლანგავენ სიმდიდრეს.

კიდევ ერთი რამაა საყურადღებო ბათუმელი ქალიშვილის წერილში. იგი ჟურნალის რედაქციას სთხოვს რჩევა-დარიგებას და დახმარებას მაშინ, როცა სრულიად უგულვებელყოფს ისეთ ახლობელსა და მისთვის თავდადებულ ადამიანს, როგორიცაა საკუთარი მამა. პირველ რიგში, მან სწორედ მამისაგან უნდა მიიღოს რჩევა-დარიგება. გამხელა ეძნელება? — ეს გასაგებია, მაგრამ მცდარი ნაბიჯის გადადგმას ჯობია მოიკრიბოს გამბედაობა და (ან თვითონ, ან სხვების დახმარებით, ან წერილის საშუალებით) ჩააყენოს მამა საქმის კურსში. თუ მამამისიც პატარა ბუნების ადამიანი არ არის, არა მგონია გაიზიაროს დედის მეშჩანური შეხედულება სასიძოს ხელმოკლეობაზე.

შვილებს, რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ როგორი ჩამორჩენილებიც არ უნდა იყვნენ მათი მშობლები, ისინი მაინც ყველაზე ერთგული ადამიანები არიან. მშობლებს ყოველთვის შვილების კეთილდღეობის ინტერესები ამოძრავებთ და თუ შვილები მოთმინებით ეცდებიან მათს დარწმუნებას — დიდხანს არ გასტანს უსაფუძვლო ჯიუტობა.

მდიდარი სასიძოების ან სარძლოების მაძიებელ მშობლებს კარგად უნდა ახსოვდეთ ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ თუ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, ასაკი ხელს უწყობს და ერთად ცხოვრების ელემენტარული პირობები გააჩნიათ — არავის არა აქვს არც იურიდიული და არც მორალური უფლება ხელი შეუშალოს მათ დაქორწინებას.

მშობლები უნდა ეცადონ მხოლოდ იმას, რომ უწესოს არავის გადაეყაროს მათი შვილი. ხოლო ქონებრივი მდგომარეობის, განათლების ცენზისა და ამგვარ პირობათა წამოყენება ხელშემშლელ მოტივად, მეტი რომ არა ვთქვათ, სამარცხვინოა. თუ თქვენი სიმდიდრე უკანონო გზითაა შეძენილი, სწორედ თქვენ უნდა გეშინოდეთ —არ დაიწუნონ თქვენი შვილი (მშობლების უპატიოსნობის გამო), ხოლო თუ პატიოსანი შრომით ცხოვრობთ, მაშინ ის უნდა გაფიქრებდეთ, რომ ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულმა თქვენმა რძალმა ან სიძემ დაჩაგრულად არ იგრძნოს თავი (მშობლების ხელმოკლეობის გამო).

ასეთ ზნეობრივ ანბანს განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს. მართალია, ბურჟუაზიული ცხოვრების ფერხულს აყოლილი მეშჩანები ასეთ მსჯელობას დასცინიან, მათ პატიოსნება დონ-კიხოტობად მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს სჯერა, რომ შეუძლებელია ყველა იდეალის დაკარგვა და ყველა ღირებულების გადაფასება. პატიოსნება და სიკეთე არასოდეს არ ჩაიძირება პარაზიტული, მეშჩანური ცხოვრების ზღვაში.

## სიყვარულის თავისუფლების პრობლემა

როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალი გამოხმაურება მივიღეთ ღალატის, „აკრძალული" სიყვარულის, პირადი ბედნიერებისა და ოჯახის ინტერესების წინააღმდეგობის საკითხებზე. ყოველივე ეს ჩვენი საუბრების ციკლის ცენტრალური თემაა და მას სიყვარულის თავისუფლების პრობლემა ჰქვია. ძველზე-ძველია ეს პრობლემა და რთულზე-რთული.

არადამაჯერებელია ის მოსაზრება, თითქოს ინდივიდუალური, თავისუფალი სიყვარული თავის ისტორიას იწყებდეს მხოლოდ უახლესი საუკუნეებიდან. ეს უცნაური აზრი რომ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, მაშინ ანტონიუსისა და კლეოპატრას, რომეოსა და ჯულიეტას, ოტელოსა და დეზდემონას, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის და სხვათა და სხვათა სიყვარულის უკვდავი სურათები მწერალთა უსაგნო ფანტაზიად უნდა გამოვაცხადოთ. ადამიანებს რომ ჩვენამდე არ სცოდნოდათ ადამიანური სიყვარული, არა თუ არ შეიქმნებოდა ხელოვნების ზემოთაღნიშნული შედევრები, არამედ სულ სხვა ხასიათი ექნებოდა მთელს ჩვენს ცივილიზაციას და ისტორიას.

სწორია მხოლოდ ის, რომ ყველაფერი იცვლება და ვითარდება, მათ შორის ადამიანური სიყვარულიც. ადამიანის ინტელექტუალური ზრდა, მისი კულტურის ამაღლება და სოციალური განთავისუფლება არ შეიძლება არ ახდენდეს გავლენას სიყვარულის უნარის გამოვლენასა და განვითარებაზე. შეიძლება დღეს აღარ არიან არც ოტელოები და ტარიელები, არც კლეოპატრები და ჯულიეტები, მაგრამ სიყვარული უფრო ძლიერიც შეუძლიათ ადამიანებს და უფრო ღრმაც. სიყვარული სწორედ მაშინ ავლენს მთელს თავის სითბოს და სილამაზეს, როცა იგი თავისუფლდება უგუნური ტრადიციებისა და უსამართლო კანონების ბორკილებისაგან. თავისუფალი სიყვარული ჩვენი ეპოქის ერთერთი არსებითი ნიშანი და ადამიანური ბედნიერების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

მაგრამ რას ნიშნავს თავისუფალი სიყვარული, როგორ უნდა გვესმოდეს იგი?

ერთნი ამბობენ, რომ „თავისუფალი სიყვარული" ნიშნავს სქესობრივი ცხოვრების თავისუფლებას. ვინც მოგეწონება და ვისაც დაითანხმებ — იმასთან იცხოვრებ.

მარქსიზმის კლასიკოსები სიყვარულის თავისუფლების ასეთ გაგებას „ბურჟუაზიულად" მიიჩნევენ. ბურჟუაზია და საერთოდ შეძლებული კლასები ცხოვრობენ ასე. სიმდიდრე რყვნის ადა-

მიანს იმ პირობებში, როცა უმრავლესობა ღარიბია, და საერთოდ, უსაქმური, უზრუნველყოფილი ცხოვრება ადამიანს უბიძგებს მეტი ხორციელი, ცხოველური სიამოვნებისაკენ. ზედმეტი დრო და ენერგია წარიმართება ტკბობის ახალი წყაროების ძიებისაკენ. ჩვეულებრივი რომ ბეზრდებათ, ორიგინალურს ეძებენ; ძალასა და უნარს რომ კარგავენ, იგონებენ და მიმართავენ გამაღიზიანებელ საშუალებებს, ვნების აღმძვრელ მუსიკას, ცეკვებს, სასმელებსა და სანხვლეტებს.

ბურჟუაზიული ცხოვრების ეს ნაშთი გადმონაშთი, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენშიც გვხვდება, კერძოდ, საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ახერხებს არაწესიერი გზით მოპოვებულ ფუფუნებაში ცხოვრებას, მშობლების ხარჯზე ან ყალთაბანდობით ფარფაშს.

სწორედ საზოგადოების ამ ნაწილს დაჰყავს „სიყვარულის თავისუფლების“ ცნება სქესობრივი ცხოვრების თავისუფლებამდე.

სამწუხაროდ, საზოგადოების ეს მცირე ნაწილი სხვებზეც ახდენს გავლენას.

სიყვარულის თავისუფლების ბურჟუაზიული გაგება გამორიცხავს ოჯახის სიმტკიცეს. იგი არის ადიულტერის, პროსტიტუციის, პოლიგამიისა და პოლიანდრიის იდეოლოგია. ეს ნიშნავს ღალატის, გარყვნილების, მრავალცოლიანობისა და მრავალქმრიანობის გაბატონებას.

საჭიროა საზოგადოების გონიერი და მძლავრი ხელი ჩაერიოს ცხოვრების გამოჯანსაღების საქმეში, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის გამოვლინება ჩვენში უნდა მოისპოს გაცილებით უფრო მალე, ვიდრე ჩვენს პლანეტაზე მოისპობა ბურჟუაზია და კაპიტალიზმი.

არსებობს სიყვარულის თავისუფლების სრულიად სხვაგვარი გაგებაც: თუ მე შემიყვარდება ადამიანი, არაფერი და არავინ არ უნდა მიშლიდეს ხელს მასთან დაქორწინებაში. თუ ჩემი არჩევანი სწორია და იგი ყოველმხრივ შემეფერება, ყოველგვარი საფუძველი მექნება იმისათვის, რომ ხელი შევუწყო ამ სიყვარულის გაძლიერებას და გაღრმავებას. მაშასადამე, თავისუფალი არჩევნით გაპირობებული სიყვარული მაქსიმალურად ხანგრძლივი იქნება. მონოგამიის პრინციპი კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება. თუ ერთი გიყვარს, და ვიდრე გიყვარს, სხვა არ შეგიყვარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ იფიქრებ არც ღალატზე და არც წუთიერ გატაცებაზე. ერთმანეთს ღალატობენ უმთავრესად სწორედ სიყვარულშეფერთხილი და ერთმანეთისადმი ვნებადაცლილი მეუღლეები.

სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი ყველაზე ხანგრძლივი, მტკიცე, ჯანსაღი და ხალისიანია. შვილი მხოლოდ სიყვარულის ნაყოფი უნდა იყოს.

სიყვარული საერთოდ შეუძლებელია თავისუფლების გარეშე. ტყუილად როდი ამბობენ: „სიყვარული არ იქნება ძალადა...“ მაგრამ თუ თავისთავად „მოსული“ სიყვარული ასევე თავისთავად „წავა“, ეს სრულებითაც არ გამოიწვევს ანარქიას და აღვირახსნილობას. ქორწინება ზნეობრივია მაშინ, — წერდა ფ. ენგელსი, — როცა იგი ეყრდნობა სიყვარულს და ქალ-ვაჟის ურთიერთობა ზნეობრივია მანამ, სანამ სიყვარული გრძელდება. თუ ოჯახში ჩაქრა სიყვარულის ცეცხლი, მაშინ, ენგელსის აზრით, განქორწინება ბედნიერებაა როგორც ცოლ-ქმრისა, ასევე საზოგადოებისთვისაც, რამდენადაც უსიყვარულო ოჯახი ხელს უშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას.

ენგელსის ეს მითითება რომ განხორციელდეს, საჭიროა საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმ დონემდე ამაღლება, რომ საზოგადოებას შეეძლოს იკისროს ბავშვების აღზრდის მთელი სიმძიმე და ოჯახის დაშლის შემთხვევაში არავითარი ზიანი არ მიადგეს ბავშვის მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას. ჯერჯერობით ეს დონე მიღწეული არ არის, რის გამოც ბავშვთა ნორმალური აღზრდის ინტერესები ხშირად ჩრდილავს მეუღლეთა პირადი ბედნიერების ინტერესებს. მაღალზნეობრივი, შეგნებული ადამიანი პირველ რიგში აყენებს ბავშვის ინტერესებს და მხოლოდ შემდეგ ფიქრობს პირად ბედნიერებაზე.

ამით აიხსნება, რომ ოჯახები განაგრძობენ არსებობას უსიყვარულოდ. ასეთი ოჯახის არსებობა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიყვარულის ადგილი დაიკავა პატივისცემამ, ზნეობრივი მოვალეობის შეგნებამ. თუ ოჯახში არც სიყვარულია და არც პატივისცემა — ასეთი ოჯახი უნდა დაიშალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

**გელა ბანძელაძე**

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# ქალი და თამბაქოს წევა

თამბაქო ადამიანის ორგანიზმისათვის მეტისმეტად მავნე შხამს შეიცავს. წევას შეუჩვეველმა ადამიანმა მოკლე ხანში 50 პაპიროსი რომ მოსწიოს, იგი უეჭველად მოიწამლება. თუთუნის ბოლშიც კი იმდენი შხამია, რომ ოთახში, სადაც წევენ, არამწეველ ადამიანთა ორგანიზმამდე აღწევს ნიკოტინის 50 პროცენტი. ეს უნდა იცოდეს ყველა დედამ და მამამ და არავის უფლება არ მისცენ მოსწიოს თამბაქო იქ, სადაც ბავშვები არიან.

ნიკოტინი იჭრება სისხლში და იწვევს სისხლის ძარღვების კრუნჩხვას, აჩქარებულ გულისცემას, რის შედეგადაც ზოგჯერ „გულის ანგინა“ ჩნდება. ნიკოტინი აგრეთვე სისხლში ზრდის შაქრის დაგროვების პროცენტს, იწვევს მადის დაკარგვას, კუჭის სიმჟავის მომატებას, რაც ხელს უწყობს ქრონიკულ გასტრიტს, კუჭის წყლულის გაჩენას, ყაბზობას, ზოგჯერ კი ხანგრძლივად კუჭის აშლილობას, ქალებს ხშირად ერღვევათ დედათა წესი.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფილტვების კიბო, ბიურგერის ავადმყოფობა და ათეროსკლეროზი უფრო ხშირად თამბაქოს მწეველთა შორის გვხვდება. ნიკოტინის შხამი ამოკლებს სიცოცხლეს.

ბოლო დროს მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მწეველთა რიცხვი. აღსანიშნავია, რომ მწეველთა შორის ბევრია ქალი. არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც თამბაქოს მწეველი ქალების რიცხვი აღემატება მწეველი მამაკაცების რიცხვს. თამბაქოს წევა განსაკუთრებით მავნებელია ქალებისათვის მათი ყელის თავისებურების გამო. ქალის ყელი გაცილებით ვიწროა მამაკაცის ყელზე, უფრო მგრძნობიარეა, ნაზი, ამიტომ მისი ლორწოვანი გარსი იოლად ღიზიანდება.

ორსულობის დროს ქალმა (თუ იგი საერთოდ ეწევა) აუცილებლად უნდა მიატოვოს თამბაქოს წევა, რადგანაც ნიკოტინის ნაწილი აღწევს ბავშვის ორგანიზმამდე, სწამლავს მას, აფერხებს მისი გულის მუშაობას.

ნიკოტინი ასევე ცუდად მოქმედებს ქალის სახის ფერზე. იმ ქალებს, რომლებიც წევენ, სახის კანი მალე უჭკნებათ, უჩნდებათ ნაოჭები. თამბაქოს წევა ცუდად მოქმედებს კბილებზეც: ყვითლდება, იფარება შავი ლაქებით და ჩნდება კბილების დამღუპველი ქვა. სუნი, რომელიც თამბაქოს მწეველ ქალს პირიდან ამოსდის, არასასიამოვნოა გარშემომყოფთათვის.

თამბაქოს გადაჩვევა იოლი არ არის, განსაკუთრებით პირველ ხანებში — მწეველი აფორიაქებულია, ნერვიულობს, კარგავს შრომის უნარს. მაგრამ ეს მოვლენები დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ი. ფუთურაშვილის

სურპრიზი

# კროსვორდი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 1. ქალის ბეწვის ყელსახვევი. 4. ყვავილი. 5. ოქტავის მეოთხე ბგერა. 9. ქორწინების ფორმა, რომლის დროსაც შეიძლება მამაკაცს ერთდროულად რამდენიმე ცოლი ჰყავდეს. 12. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში. 14. მოწითალო საღებავი, რომელსაც ხმარობენ თმის, ფრჩხილების და სხვა რამის შესაღებად. 16. შემოკავებული მიწის ნაკვეთი. 17. ქართული ანბანის პირველი ასო. 19. ფართო დრეკადი სარტყელი, რომელსაც ქალები წელზე იკრავენ ტანკენარობის გამოსაჩენად 23. ქალის ქუდზე მიმაგრებული მსუბუქი ქსოვილი, რომელიც სახეს ფარავს. 24. მეტყველების ორგანო. 25, ქალწულობისა და მშობიარობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 27. სურნელოვანი წმინდა ფხვნილი, რომელსაც იყენებენ ჰიგიენური და კოსმეტიკური მიზნებისათვის. 29. სიბრძნის, ხელოვნებისა და ომის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 30. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 31. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის. 34. აღმოსავლეთის ზოგიერთი ხალხის პატრიარქალური ჩვეულება, რომლის მიხედვით უშვილო ქვრივი უნდა მისთხოვდეს თავის მაზლს. 37. ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 2. ქართველი მწერალი ქალის სახელი. 3. ფერი. 6. ცეკვის ილეთი. 7. შორისდებული, რომელსაც ხმარობენ ტელეფონით ლაპარაკის დროს. 8. რაიმე საერთო საქმეში თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი. 10. ქალაქი, რომლის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული პიკანტური სანელებელი-მაიონეზი. 11. კოსმეტიკური საცხი. 12. ბიბლიური „პატრიარქი". 13. საოჯახო ნივთი. 14. ბუვიეს რომანი. 15. რიცხვი. 18. ქალის კაბა, რომელსაც გული ღრმად აქვს ამოჭრილი. 19. ავეჯი. 20. სამიჯნურო ურთიერთობა ქალსა და ვაჟს შორის. 21. ბერძენი საესტრადო მომღერალი ქალი. 22. საკონდიტრო ნაწარმი. 25. ქალისადმი ზრდილობიანი მიმართვა ესპანეთში. 26. ჯ. ვერდის ოპერა. 27. ბამბის ან ხელოვნური აბრეშუმის ერთგვარი მკვრივი ქსოვილი. 28. ლათინური ანბანის მეათე ასო. 31. მიწისა და ქვესკნელის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიში. 32. ხელოვნური ბოჭკო. 33. ლორდის ან ბარონეტის მეუღლე. 34. დიდი საცეკვაო საღამო. 36. ფეხის თბილი სამოსი, რომელიც ფარავს მას ტერფიდან მუხლამდე.

შეადგინა კ. ლიფონავამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76177